ჩვენი სოფელი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა

თებერვალი/2017 **N2(17)**



სურსათის ეროვნული სააგენტო ხორცის მწარმოებლებს ახალ რეგულაციებს აცნობს გვ.**5**

სურსათის ეროვნული სააგენტო ყველის ეტიკეტირების წესის დაცვის კონტროლს ამკაცრებს



მცხეთა-მთიანეთის რეგიონი - 2013-2016 წლებში განხორციელებული პროექტები გვ.**6-8**



„ცხოველის მეპატრონეებმა ვეტერინართან უნდა ითანამშრომლონ“ გვ.**10**



DCFTA-ის მოთხოვნები სურსათის მწარმოებლებისთვის - გზამკვლევი გვ.**12**



ბერლინი - „მწვანე კვირეული 2017“ (Gruene Woche 2017)

ბერლინის საერთაშორისო გამოფენა სოფლის მეურნეობის მიმართულებით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟული გამოფენაა, რომელიც 1926 წლიდან ყოველწლიურად იმართება. გამოფენის ვიზიტორთა რაოდენობა 400 000-ზე მეტია.

გვ. **2-3**

რჩევა ფერმერისთვის - ჟოლოს აგროტექნოლოგია

ჟოლო (Rubus idaeus) კენკროვანი კულტურაა. მისი ნაყოფი მეტად არომატული და ვიტამინებით, ორგანული მჟავებით და ნახშირწყლებით მდიდარია. ჟოლოს კენკრა შესანიშნავი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება.

გვ. **14-15**



კარტოფილის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები



საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა ვაწარმოოთ, როგორც სასურსათო (საადრეო და საგვიანო), ასევე სათესლე და ეკოლოგიურად სუფთა (მაღალმთიან ზონაში) კარტოფილი.

გვ. **16**

სადემონსტრაციო სათბურები მარნეულის მუნიციპალიტეტში



გვ. **4**

დუშეთის მუნიციპალიტეტში 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი გაიხსნა

გვ. **4**





საქართველო - ევროკავშირი რას ნიშნავს უვიზო რეჟიმი გვ.**13**



ბერლინი - „მწვანე კვირეული 2017“





ბერლინის საერთაშორისო გამოფენა „მწვანე კვირეული 2017“ (Gruene Woche 2017)



19-23 იანვარს, სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი სამუშაო ვიზიტით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში, მინისტრი ქალაქ ბერლინში სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის საერთაშორისო გამოფენის „მწვანე კვირეული 2017“ (Gruene Woche 2017) გახსნის ღონისძიებას დაესწრო. ბერლინის საერთაშორისო გამოფენა სოფლის მეურნეობის მიმართულებით მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და პრესტიჟული გამოფენაა, რომელიც 1926 წლიდან ყოველწლიურად იმართება. გამოფენის ვიზიტორთა რაოდენობა 400 000-ზე მეტია. წელს გამოფენაში „მწვანე კვირეული 2017“ (Gruene Woche 2017) სხვადასხვა ქვეყნის 1500-მდე კომპანია მონაწილეობდა. გერმანიასთან ერთად, გამოფენის „მწვანე კვირეული“ პარტნიორ ქვეყანას უნგრეთი წარმოადგენდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერით, აღნიშნულ გამოფენაში ყოველწლიურად ათეულობით ქართული კომპანია მონაწილეობს. წელს საქართველოს სტენდზე 17 კომპანიის („ქიმერიონი“, „თამარის მარანი“, „ბებუ“, „ჩელთი“, „ტიბანელი“, „ბადაგონი“, „მილდიანი“, „კორპორაცია ქინძმარაული“, „შუხმან ვაინსი“, „კახური“, „კავკასიური“, „გეო პრო“, „ღვინის მარანი ლილი“, „გეოვინო“, „ქართ valley“, „გეოჰაუსი“, „ინტერ ტრეიდი“) წარმოებული პროდუქცია - ღვინო, ჭაჭა, ლიმონათი, წვენი, ჩაი, ჩურჩხელა, გოზინაყი, ტყლაპი, ტყემალი, ჯემი, თხილი, მშრალი ხილი, სუნელი და საწებელი იყო წარმოდგენილი. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზრებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, წლევანდელ გამოფენაზე საქართველოს სტენდი მრავალფეროვანი პროდუქციით იყო წარმოდგენილი.

გერმანიაში ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა შეხვედრები გამართა გერმანიის, ესტონეთის, ლატვიის, ლიტვის, სლოვენიის, მოლდოვას და სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.


ლევან დავითაშვილმა, გამოფენის ფარგლებში მოწყობილ ქართულ სტენდზე, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ესტონეთის, მოლდოვის რესპუბლიკის და სომხეთის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრებს უმასპინძლა. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა გერმანიის სოფლის მეურნეობის მინისტრთან, კრისტიან შმიდტთან გამართულ შეხვედრაზე ევროკავშირთან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით (DCFTA) აღებული ვალდებულებების შესრულების, ასევე, სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გამოცდილების გაზიარებისა და მხარდაჭერის მნიშვნელობაზე ისაუბრა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ 2017 წელი გერმანია-საქართველოს მეგობრობის წლად არის გამოცხადებული, რაც ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. ამასთან, 2017 წლის ზაფხულში დაგეგმილია საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტი.


ესტონეთის სოფლის საქმეთა მინისტრთან, ტარმო ტამისთან შეხვედრაზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ ესტონეთი საქართველოს პარტნიორია და ორ ქვეყანას შორის სოფლის მეურნეობის კუთხით განსაკუთრებით მჭიდრო თანამშრომლობა არსებობს.


„საქართველოსთვის მნიშვნელოვანია ესტონეთის გამოცდილების გაზიარება, როგორც საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის, ასევე, კონკრეტული აგრარული დარგების და მიმართულებების განვითარებისა და სოფლის განვითარების კუთხით“, - აღნიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა. შეხვედრაზე მხარეებმა მეცხოველეობისა და დაავადებათა კონტროლის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის, სურსათის უვნებლობის, წარმოებაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის და გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის კუთხით თანამშრომლობის გაღრმავების საკითხები განიხილეს.


საერთაშორისო გამოფენის Gruene Woche 2017 ფარგლებში, ლევან დავითაშვილმა შეხვედრები გამართა ლიტვის, ლატვიისა და სლოვენიის რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის მინისტრებთან.

ლატვიის სოფლის მეურნეობის მინისტრთან, იანის დუკლავსთან გამართულ შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის და სოფლის განვითარების საკითხებზე. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ქვეყნებს შორის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით თანამშრომლობის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის საკითხებს. შეხვედრაზე ლატვიურმა მხარემ მზადყოფნა გამოთქვა, უმასპინძლოს ქართველ ფერმერებს და ექსტენციის მიმართულებით ლატვიის გამოცდილება გაუზიაროს. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, ფერმერთა სწავლება და საკონსულტაციო საქმიანობის დახვეწა სოფლის









სამუშაო ვიზიტი გერმანიაში





მეურნეობის სამინისტროსთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და ცოდნაზე დაფუძნებული ექსტენციის სერვისი ქვეყანაში სოფლის მეურნეობის დარგის განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ბერლინში სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის საერთაშორისო გამოფენის „მწვანე კვირეული 2017“ (Gruene Woche 2017) ღონისძიებების ფარგლებში, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი სლოვენიის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის, მეტყევეობისა და სურსათის მინისტრს, დეჯან ზიდანს შეხვდა. შეხვედრაზე მხარეებმა სოფლის განვითარების საკითხები და ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები განიხილეს. სლოვენიის სოფლის მეურნეობაში ერთ-ერთი წამყვანი მიმართულება მეფუტკრეობა და თაფლის წარმოებაა. შეხვედრაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია მეფუტკრეობის განვითარების კუთხით სლოვენიის გამოცდილების გაზიარება. მან ხაზი გაუსვა ევროკავშირის მიერ საქართველოს მესამე ქვეყნების ჩამონათვალში შეყვანის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ ეს საქართველოში მეფუტკრეობისა და თაფლის წარმოების განვითარებისთვის დიდი სტიმულია.

ლიტვის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ბრონუს მარკაუსკასთან შეხვედრაზე მხარეებმა სოფლის მეურნეობის სექტორში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, მეცხოველეობის, სურსათის უვნებლობის და ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკისა და კვლევის კუთხით გამოცდილების გაზიარების საკითხები განიხილეს. შეხვედრაზე საუბარი შეეხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის საკითხებსაც.

ბერლინის სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში გამართულ შეხვედრებს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში, ლადო ჭანტურია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე და სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი ზურაბ ჩეკურაშვილი ესწრებოდნენ.











საერთაშორისო გამოფენის „მწვანე კვირეული“ ფარგლებში, ქალაქ ბერლინში სურსათისა და სოფლის მეურნეობის გლობალური ფორუმი გაიმართა, რომელშიც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის, კრისტიან შმიდტის ინიციატივით ყოველწლიურად იმართება და მასში მონაწილეობას 60 ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრი იღებს. მიმდინარე წელს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გამართული ფორუმის მთავარი თემა სოფლის მეურნეობა და წყლის რესურსების სწორი გამოყენება იყო. გლობალური ფორუმის მონაწილეებმა წყლის, როგორც სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსის სწორ გამოყენებაზე და აღნიშნული მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე იმსჯელეს. როგორც ფორუმზე აღინიშნა, მნიშვნელოვანია, რომ სოფლის მეურნეობაში წყლის რესურსის გამოყენება გონივრულად მოხდეს. ფორუმის ფარგლებში გაიმართა სამუშაო სესიები, სადაც რეგიონების და ქვეყნების მიხედვით წყლის რესურსებზე წვდომის კუთხით არსებულ მდგომარეობაზე იმსჯელეს. ფორუმის დასასრულს, მონაწილეებმა მიიღეს კომუნიკე, რომელიც წყლის რესურსების სწორი გამოყენებით სოფლის მეურნეობის ეფექტიან და მდგრად განვითარებას ეხება. ბერლინში გამართულ გლობალურ ფორუმს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში, ლადო ჭანტურია და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე ესწრებოდნენ. ღონისძიების დასრულების შემდეგ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სურსათისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, კრისტიან შმიდტმა ოფიციალური მიღება გამართა, რომელსაც ფორუმის მონაწილე სოფლის მეურნეობის მინისტრები და მაღალი რანგის სტუმრები ესწრებოდნენ.

დუშეთის მუნიციპალიტეტში 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი გაიხსნა



სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გიორგი ხანიშვილი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე დუშეთის მუნიციპალიტეტში 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის - „პომოდორნა“, „საარაგვო“ და „მაღრანი ნატურალური“ - გახსნას დაესწრნენ.

„დღეს სახელმწიფოსა და ევროკავშირის დახმარებით შექმნილმა კიდევ სამმა ახალმა სასოფლო-სამეურნეო კოოპარატივმა დაიწყო ფუნქციონირება. უნდა აღინიშნოს, რომ აგრარული დარგის მიმართულებით კოოპერაციამ ფერმერებს საკუთარი საქმიანობის განვითარებაში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. ახალი კოოპერატივები შემნახველი, სამაცივრე და სასათბურე მიმართულებით იფუნქციონირებენ. ქვეყანაში, სახელმწიფოს ხელშწყობით, სულ უფრო აქტიურად ხდება ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის გამოყენება, რაც ხელშესახებ შედეგებს ახლო მომავალში მოგვცემს“, - აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, გიორგი ხანიშვილმა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „პომოდორნა“ საქმიანობის ძირითად სფეროს სრულად აღჭურვილ 1000 კვ.მ სასათბურე მეურნეობაში პომიდვრის რამდენიმე სახეობის მოყვანა წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „საარაგვო“ დუშეთის რ-ნის სოფელ წითელ კლდეში, ეკოლოგიურად სუფთა გარემოში, კარტოფილის ელიტური ჯიშების მოყვანას ახორციელებს.

კარტოფილის სხვადასხვა ჯიშისა და მარცვლოვანი კულტურების მოყვანაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „მაღრანი ნატურალური“ საქმიანობის მთავარი მიმართულებაც. ორივე კოოპერატივი ფლობს სამაცივრე მეურნეობებს, სადაც მოყვანილი პროდუქციის შესაბამის ტემპერატურაზე დასაწყობებაა შესაძლებელი.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების გახსნას საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლები, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის გაერთიანებული ოლქის დეპუტატი ზაქარია ქუცნაშვილი, მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი გოჩა ზეიკიძე ესწრებოდნენ. კოოპერატივები სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში შეიქმნა.











სადემონსტრაციო სასათბურე კომპლექსი მარნეულის მუნიციპალიტეტში

სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, ძი იანჩიმ, ქვემო ქართლის რეგიონის გუბერნატორთან, პაატა ხიზანაშვილთან ერთად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ შულავერში, საქართველო-ჩინეთის ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში აშენებული სადემონსტრაციო სასათბურე კომპლექსი დაათვალიერეს.

ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სასათბურე კომპლექსი „ჰუნანის სოფლის მეურნეობის ჯგუფმა“ სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კუთვნილ 5 ჰა მიწის ფართობზე ააშენა. კომპლექსი მზის, ერთსივრციანი სათბურების და სხვა დამხმარე ნაგებობების - სულ 6 დიდი და 27 პატარა სათბურისგან შედგება. პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში სასათბურე მეურნეობების განვითარებას და საწარმოო პოტენციალის ზრდას.

„ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, საქართველოში, კერძოდ ქვემო ქართლის რეგიონში, მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რომელიც ხელს შეუწყობს ადგილობრივი ფერმერებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობას და კონკურენტუნარიანობის ზრდას. ეს კი, რეალური წინაპირობაა იმისა, რომ ადგილობრივმა ფერმერებმა წარმოება გაზარდონ, მიიღონ მეტი შემოსავალი და გაიუმჯობესონ ეკონომიკური მდგომარეობა. საბოლოოდ, ბოსტნეულის ადგილობრივი წარმოების ზრდა აგროსასურსათო სექტორის სავაჭრო ბალანსის გამოსწორების საშუალებას მოგვცემს, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის მნიშვნელოვანია“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

სადემონსტრაციო სათბურებში ქართველ ფერმერებს საშუალება აქვთ მიიღონ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა ბოსტნეულის მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებზე, მზის სათბურების მშენებლობის სპეციფიკასა და მართვის საკითხებზე, სათბურებში ბოსტნეული კულტურების დაავადებების კონტროლის, ასევე, დახურულ გრუნტში ბიოსასუქებისა და ბიოპესტიციდების გამოყენების მექანიზმებზე.


როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ძი იანჩიმ აღნიშნა, ნათელია ის პოზიტიური შედეგები, რასაც აღნიშნული სათბურების შექმნით ადგილობრივ ფერმერები იღებენ. მათ საშუალება აქვთ ისწავლონ ბოსტნეულის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები, რათა შეძლონ მეტი მოსავლის მიღება. წარმოებაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა კი, საშუალებას მისცემს საქართველოს, რომ ბოსტნეულის ექსპორტიორი ქვეყანა გახდეს. ჩინური მხარე მზად არის საქართველოს გაუზიაროს ის დიდი გამოცდილება, რაც ამ მიმართულებით ჩინეთს აქვს.

ქვემო ქართლის გუბერნატორის, პაატა ხიზანაშვილის თქმით, რეგიონისთვის მნიშვნელოვანია მსგავსი ტიპის სათბურების არსებობა, რადგან ეს საშუალებას მისცემს ადგილობრივ ფერმერებს გაეცნონ თანამედროვე ტექნოლოგიებს და ნაკლები დანახარჯებით მეტი შემოსავლის მიღება შეძლონ.

ბოსტნეულის წარმოებასთან დაკავშირებით ტექნიკური თანამშრომლობის პროექტი საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის 2014 წლის 15 იანვარს გაფორმდა, პროექტისათვის 20 მილიონი იუანი (3 მლნ-მდე აშშ დოლარი) განისაზღვრა. „ჰუნანის პროვინციის სოფლის მეურნეობის ჯგუფი“ აქტიურად ახორციელებს საერთაშორისო პროექტებს სოფლის მეურნეობის დარგში ადამიანური რესურსების განვითარების და ფერმერთა გადამზადების კუთხით. საქართველო-ჩინეთის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ბოსტნეულის მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიებზე „ჰუნანის სოფლის მეუნეობის ჯგუფმა“ 300-მდე ადგილობრივი ფერმერისთვის საქართველოსა და ჩინეთში 6 სასწავლო კურსი ჩაატარა.

შულავერში მდებარე სადემონსტრაციო სათბურები, სოფლის მეურნეობის მინისტრთან ერთად, სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეებმა, იური ნოზაძემ და გიორგი ხანიშვილმა, ასევე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ნოდარ ხატიაშვილმა დაათვალიერეს.





რეგიონული ლაბორატორიების გაძლიერების პროგრამა- დუშეთის რეგიონული ლაბორატორია






მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტში (მცხეთა, დუშეთი, თიანეთი, ყაზბეგი) გეოგრაფიულ-ბუნებრივი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, ძირითადად გავრცელებულია მესაქონლეობა. რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში აღნიშნულ დარგს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მესაქონლეობა ფერმერთა და გლეხური მეურნეობების ერთ-ერთ ძირითად შემოსავალის წყაროს წარმოადგენს.

სახელმწიფოს მხრიდან ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელების და რეგიონში არსებული რესურსების სრული გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია რეგიონში არსებული პირუტყვის რაოდენობის გაორმაგება. აღნიშნული მიზნის მიღწევისთვის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად ფერმერებისათვის გაუმჯობესებულ ლაბორატორიულ მომსახურებაზე და სერვისებზე ადგილობრივ დონეზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.

ლაბორატორიული კვლევების წარმოება აუცილებელია როგორც ცხოველთა დაავადებების კონტროლის, ასევე ზარალის თავიდან აცილების კუთხით.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ოთხივე მუნიციპალიტეტს ლაბორატორიულ მომსახურებას დუშეთში არსებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია უწევს. მას ასევე აქვს შესაძლებლობა ტერიტორიაზე განსაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ცხოველების დაავადების გავრცელების რისკის მომენტში, ლაბორატორიულ კომპონენტში მიიღოს მონაწილეობა.

რეგიონული ლაბორატორიების გაძლიერების პროგრამის საფუძველზე, დუშეთის ლაბორატორიაში 2012 წლიდან დღემდე მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა.

ლაბორატორია აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მიერ ერთობლივი ბიოლოგიური თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო დონის აპარატურით და სადიაგნოსტიკო საშუალებებით აღიჭურვა; ლაბორატორიული კვლევის მეთოდებზე განხორციელდა პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და ჩატარდა სწავლებები.

ლაბორატორიის დიაგნოსტიკის სფეროები განსაკუთრებით საშიში პათოგენით გამოწვეული ცხოველთა დაავადებების და სხვა არაინფექციური დაავადებების დიაგნოსტიკაა, მათ შორის, ბრუცელოზი, ჯილეხი, მასტიტი, ნიუკასლი და სხვა. ახალი ინფრასტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა ამ დაავადებებზე მაღალი სტანდარტის კვლევები ჩატარდეს და, შესაბამისად, ბიზნეს-ოპერატორები და სხვა დაინტერესებული პირები საერთაშორისოდ აღიარებულ კვლევის შედეგებს მიიღებენ.

2016 წლის თებერვალში, საერთაშორისო აღიარების მქონე მააკრედიტებელი ორგანოს (ANAB) მიერ დუშეთის ლაბორატორიას ISO 17025 სტანდარტზე მიენიჭა აკრედიტაცია, რაც საერთაშორისოდ აღიარებულს ხდის ჩატარებულ გამოკვლევის შედეგებს. აკრედიტაციის სფეროებია - ასკოლის რეაქცია, როზ-ბენგალ ტესტი და კალიფორნიული მასტიტის ტესტი.



სურსათის ეროვნულ სააგენტოს ყველის ეტიკეტირების წესის დაცვის კონტროლს ამკაცრებს

სურსათის ეროვნულ სააგენტოში მსხვილი სუპერმარკეტების წარმომადგენლებს რძის, რძის ნაწარმისა და რძის შემცველი პროდუქტების ეტიკეტირებისა და რეალიზაციის სავალდებულო მოთხოვნები გააცნეს. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ყველზე, რომელიც ყველაზე ფართოდ გამოყენებადი და, ამავე დროს, მაღალი რისკის შემცველი სურსათია.

„მნიშვნელოვანია, დაცული იყოს ყველა ის ნორმა, რასაც რძის ტექნიკური რეგლამენტი ითვალისწინებს. დაუშვებელია, „ყველის“ სახელწოდებით იყიდებოდეს პროდუქტი, რომელიც მცენარეულ ცხიმს შეიცავს. ამ საკითხს სააგენტო განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს და მკაცრად გააკონტროლებს ეტიკეტზე განთავსებული ინფორმაციის სისწორეს“, - განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა, ზურაბ ჩეკურაშვილმა.

სააგენტოს უფლებამოსილმა პირებმა სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლებს დეტალურად გააცნეს ეტიკეტზე დასატანი ინფორმაცია, კერძოდ, ეტიკეტზე პროდუქტის დასახელებასთან ერთად, მითითებული უნდა იყოს მწარმოებლის საიდენტიფიკაციო მონაცემები (დასახელება, მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, საწარმოს აღიარების ნომერი), პროდუქციის შემადგენლობა, სტანდარტის ნომერი, დამზადების თარიღი, ვარგისიანობის ვადა, შენახვის პირობები, ენერგეტიკული ღირებულება 100 გრ პროდუქტში და მასა.

ეტიკეტირების წესის დარღვევისთვის ბიზნესოპერატორების მიმართ გატარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

მომხმარებელთა ინტერესების და სურსათის უვნებლობის სტანდარტების დაცვის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო ანალოგიურ შეხვედრებს რეგიონებშიც გამართავს.




სურსათის ეროვნული სააგენტო ხორცის მწარმოებლებს ახალ რეგულაციებს აცნობს

სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები ხორცისა და ხორცპროდუქტების მწარმოებლებს შეხვდნენ და ახალი რეგულაციები გააცნეს. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ შიდა ქართლის რეგიონის ბიზნესოპერატორები, რომლებსაც ეტიკეტის ნიმუშები დაურიგდათ.

„ტექნიკური რეგლამენტი მომხმარებელთა ინტერესების დასაცავად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია. ჩვენთვის პრიორიტეტულია ადამიანის ჯანმრთელობა, რისთვისაც ბოლო პერიოდში არაერთი საკანონმდებლო რეგულაცია შემუშავდა. ამასთან, ჩვენ, როგორც მაკონტროლებელი, ვალდებული ვართ, ბიზნესოპერატორებს მივაწოდოთ დეტალური ინფორმაცია იმ სიახლეების შესახებ, რასაც მათ კანონი ავალდებულებთ. საქართველოს მოქალაქეების დაცვა მავნე სურსათისაგან მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით არის შესაძლებელი“, - განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსმა, ზურაბ ჩეკურაშვილმა.

ტექნიკური რეგლამენტი „საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების წესი“ 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. რეგლამენტი განსაზღვრავს ბაზარზე განთავსებული საქონლის ხორცისა და საქონლის ხორცის პროდუქტების წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე სავალდებულო ეტიკეტირებას და ბიზნესოპერატორის ვალდებულებებს, ეტიკეტზე დაიტანოს სრული ინფორმაცია ხორცის წარმომავლობის შესახებ, როდის და რომელ სასაკლაოზეა საქონელი დაკლული, ცხოველის ასაკი, ვარგისიანობის ვადა და ა.შ

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ბიზნესოპერატორების ინფორმირების მიზნით შეხვედრები მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართა.





მცხეთა-მთიანეთის რეგიონი - 2013-2016 წლებში განხორციელებული პროექტები

პროექტების მართვის სააგენტო

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ბენეფიციართათვის გამოყოფილი იყო სარგებელი:

2016 წელს - მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტით მცხეთა-მთიანეთის რეგიონში განისაზღვრა 40,411 ბენეფიციარი. ბენეფიციარებმა 2,153,242 ლარის ღირებულების სარგებელი მიიღეს. პროექტის ფარგლებში, დამუშავდა 9,320 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

2015 წელს - აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში განისაზღვრა 40,334 ბენეფიციარი. ბენეფიციარებმა 2,109,008 ლარის ღირებულების სარგებელი მიიღეს. ჯამში დამუშავდა 10,043 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

2014 წელს - პროექტის ფარგლებში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 39,838 ბენეფიციარი განისაზღვრა. ბენეფიციარებმა 2,763,588 ლარის ღირებულების სარგებელი მიიღეს. ჯამში დამუშავდა 9,789 ჰა სასოფლო–სამეურნეო მიწის ფართობი.

2013 წელს - საგაზაფხულო სამუშაოების ხელშემწყობი პროექტის ფარგლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში განისაზღვრა 31,864 ბენეფიციარი. ბენეფიციარებმა 7,877,832 ლარის ღირებულების სარგებელი მიიღეს. ჯამში დამუშავდა 9,222 ჰა სასოფლო–სამეურნეო მიწის ფართობი.

პროექტის მიზანი:

სოფლად მცხოვრები ფერმერებისა და გლეხებისათვის, რომლებიც წლების მანძილზე მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დამუშავებას ვერ ახერხებდნენ, ხვნის პროცესში დახმარება.

პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე, ფერმერებმა და გლეხებმა სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ მიიღეს სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი; პროგრამის ფარგლებში დამზადდა საბანკო ბარათი, ე. წ. „აგრობარათი“.

სამწლიანი პროგრამის განხორციელების შედეგად, პრაქტიკულად მიტოვებულ, ყამირად ქცეულ მიწებს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულება დაუბრუნდათ.

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი

შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში 31.12.2016 მდგომარეობით, მცხეთა-მთიანეთში გაიცა შემდეგი ოდენობის სესხები:

- საბრუნავი საშუალების მიზნობრიობით
  - 3,998,246 ლარის ღირებულების 171 სესხი
  - 359,751 დოლარის ღირებულების 3 სესხი
- ძირითადი საშუალების მიზნობრიობით
  - 5,965,225 ლარის ღირებულების 172 სესხი
  - 4,004,453 დოლარის ღირებულების 43 სესხი

ყველაზე მეტი სესხი მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გაცემულია შემდეგ დარგებზე: მესაქონლეობა, სასათბურე მეურნეობა, მებაღეობა, ხილის გადამუშავება, სოკოს წარმოება.

პროექტის მიზანი:

აგროსექტორით საბანკო სისტემის დაინტერესება და მათი პროექტში ჩართვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა, რამაც სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებისთვის გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. დღეისათვის შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტში 13 ბანკი და 2 სალიზინგო ორგანიზაციაა ჩართული.

აღნიშნული პროექტის განხორციელებით, მეწარმეებისა და ფერმერებისთვის ხელმისაწვდომი გახდა იაფი ფინანსური რესურსი

პროგრამა დანერგე მომავალი

მცხეთა-მთიანეთში, პროგრამის ფარგლებში, დამტკიცებულია 10 პროექტი. სააგენტოს დაფინანსების ოდენობამ შეადგინა 256,482 ლარი. ბაღების გასაშენებელი ფართობი შეადგენს 39 ჰა-ს.



პროექტის ფარგლებში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში დაფინანსებული კულტურის ყველაზე დიდი წილი უჭირავს კაკალს, ჟოლოს და ვაშლის ბაღებს.

პროექტის მიზანი:

საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენება მრავალწლიანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგად მოხდება იმპორტირებული პროდუქციის ჩანაცვლება და გაიზრდება ექსპორტი, გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის შესაძლებლობა და გაუმჯობესდება სოფლად მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

აგროდაზღვევის პროგრამა

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2014-2015 წლებში, აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში, გაცემულია 45 პოლისი. დაზღვეულია 1,024,759 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა და 160 ჰა მიწის ფართობი. ჯამში სააგენტოს სუბსიდიის თანხამ 77,739 ლარი შეადგინა.

2016 წელს მცხეთა-მთიანეთში გაიცა 33 პოლისი. დაზღვეულია 402,428 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა და 68 ჰა მიწის ფართობი. ჯამში სააგენტოს მიერ გადასახდელი სუბსიდიის თანხა 28,369 ლარს შეადგენს.

პროექტის მიზანი:

აგრარულ სექტორში წარმოების თანამედროვე სტანდარტებზე გადასვლა დარგში აგროდაზღვევის კომპონენტის დანერგვას გულისხმობს.

აგროდაზღვევის პროექტის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის ამაღლება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების შემცირებაა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი და შემნახველ საწარმოთა თანადაფინანსების პროექტი

მცხეთა-მთიანეთში, 31.12.2016 მდგომარეობით სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ კომპონენტში დამტკიცდა 5 პროექტი, ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 3,564,168 აშშ დოლარი. სახელმწიფო თანადაფინანსებამ 990,670 აშშ დოლარი შეადგინა. პროექტი ასევე ემსახურება სანედლეულო ბაზის განვითარებას.

სამაცივრეს კომპონენტში დაამტკიცა 1 პროექტი ჯამური საინვესტიციო ღირებულებით 520,670 აშშ დოლარი. სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა 208,268 აშშ დოლარი.

პროექტის მიზანი:

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ახალი გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

ახალი და გაფართოებული საწარმოები

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გაიხსნა 6 ახალი საწარმო და გაფართოვდა 10 საწარმო.

6 ახალი საწარმო (3 აგროკრედიტი, 3 თანადაფინანსება)

სრული ინვესტიცია - 2,589,644 აშშ დოლარი

საკუთარი წილი - 648,469 აშშ დოლარი

შეღავათიანი აგროკრედიტი - 1,349,175 აშშ დოლარი

გრანტი - 592,000 აშშ დოლარი.



შპს საქართველოს მელიორაცია

შპს საქართველოს მელიორაცია GEORGIAN AMELIORATION

2012 წელს, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში წყალუზრუნველყოფილი იყო 2 100 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი. 2012 წლიდან დღემდე, რეგიონში დასრულდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 9 სარეაბილიტაციო პროექტი, სამუშაოების ჯამური ღირებულებით 14 689 850 ლარი. სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში, აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 121 კმ სამელიორაციო არხს, 1 ერთეულ სათავე ნაგებობას და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან (IFAD) თანამშრომლობით, დასრულდა სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 2 სარეაბილიტაციო პროექტი. სამუშაოების ჯამურმა ღირებულებამ 5 873 000 ლარი შეადგინა.

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის ფარგლებში, 2013-2016 წლებში, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში გაიწმინდა და მოწესრიგდა 349 კმ სამელიორაციო არხი, გარემონტდა 202 ერთეული სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობა.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, წყალუზრუნველყოფილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი რეგიონში 9 970 ჰექტრამდე გაიზარდა, ხოლო დაშრობა 2 900 ჰექტარზე ხორციელდება.

დღეისათვის, რეგიონში მიმდინარეობს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის 5 გარდამავალი სარეაბილიტაციო პროექტი. სამუშაოების დასრულების შემდეგ, წყალუზრუნველყოფილი იქნება 80 ჰექტარი მიწის ფართობი, ხოლო დამშრობი სისტემები მოემსახურება დამატებით 500 ჰექტარ მიწის ფართობს.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

LMA სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია სამი მიმართულების - ცხოველთა, მცენარეთა და სურსათის - დიაგნოსტირების კუთხით მუშაობს. არსებული შესაძლებლობების თანამედროვე მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, მთელ ლაბორატორიულ ქსელში, მათ შორის, დუშეთის რეგიონულ ლაბორატორიაში თანამედროვე აპარატურის და ტექნიკის შეძენა/განახლება მოხდა.

2013 წლიდან, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია რეგიონულ დონეზე ავითარებს ლაბორატორიული კვლევების სპექტრს - არსებულ მეთოდებს ემატება ახალი კვლევები, მიმიდინარეობს აკრედიტაციის სფეროში მათი ეტაპობრივი დამატება.

განხორციელებული და მიმდინარე ღონისძიებები:

- 2015 წლის დეკემბერში, დუშეთის ლაბორატორიის ახალი შენობა აშენდა და აღიჭურვა დონორი ორგანიზაციის - აშშ-ის თავდაცვის საფრთხის შემცირების სააგენტოს (DTRA) მხარდაჭერითა და დაფინანსებით. ლაბორატორიაში აქტიურად ხორციელდება ცხოველთა განსაკუთრებით საშიში ინფექციური და სხვა დაავადებების დიაგნოსტირება. დღეისათვის, დუშეთის რეგიონულ ლაბორატორიაში დასაქმებულია 4 სპეციალისტი;

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი - 2013-2016 წლებში განხორციელებული პროექტები





- 2015 წელს, დუშეთის ლაბორატორიის სპეციალისტებმა გაიარეს სწავლება სურსათისა და წყლის როგორც მიკრობიოლოგიური, ასევე ფიზიკურ–ქიმიური კვლევების მეთოდებში;
- 2016 წელს მააკრედიტებელი ორგანოს - ANAB-ის მიერ განხორციელებული მონიტორინგის დროს დუშეთის ლაბორატორიამ გაიარა საერთაშორისო აკრედიტაცია; სააკრედიტაციო სფეროს დაემატა ადგილზე წარმოებული კვლევები ჯილეხის, ბრუცელოზისა და მასტიტის პირველად დიაგნოსტიკაზე.
- სამინისტროს რაიონული საინფორმაციო -საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებთან კოორდინაციით, ლაბორატორიის სპეციალისტებმა რეგიონში გავრცელებულ სხვადასხვა დაავადებასთან დაკავშირებით ფერმერებთან არაერთი შეხვედრა გამართეს;
- აქტიურად გრძელდება ცხოველთა დაავადებების (მათ შორის განსაკუთრებით საშიში ინფექციების) პირველადი დიაგნოსტიკა;

ნიმუშების სტატისტიკა

- 2013 წელს გამოკვლეულია 1 780 ნიმუში, მათ შორის ბრუცელოზზე-78.
- 2014 წელს გამოკვლეულია 35 209 ნიმუში, მათ შორის 7035 - ბრუცელოზზე, 28 000 - ჯილეხზე.
- 2015 წელს პერიოდში გამოკვლეულია 2441 ნიმუში; მათ შორის 2220 - ბრუცელოზზე.
- 2016 წელს პერიოდში გამოკვლეულია 20 468 ნიმუში; მათ შორის 16 609 ბრუცელოზზე.

დაგეგმილი ღონისძიებები

- აქტიურად ჩატარდება საინფორმაციო შეხვედრები ფერმერებთან და სურსათის მწარმოებლებთან;
- მოხდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებსა და ბიზნესოპერატორებისათვის დანერგილი მეთოდების გაცნობა და ტესტირების პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- გაფართოვდება წყლის და სურსათის ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევების სპექტრი.

სურსათის ეროვნული სააგენტო

სურსათის ეროვნული სააგენტო საქმიანობას სამი ძირითადი მიმართულებით - ვეტერინარია, ფიტოსანიტარია და სურსათის უვნებლობა - ახორციელებს.

სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის რეგიონულ სამსახურში მუდმივად 20 თანამშრომელია დასაქმებული, 12 - ხელშეკრულების საფუძველზე.

სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ ღონისძიებების გატარების მიზნით, სააგენტო პერიოდულად ატარებს ცხოველთა პროფილაქტიკურ ვაქცინაციას.

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და მომხმარებლის ინტერესების დაცვის მიზნით, მიმდინარეობს სასწავლო დაწესებულებების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სამომხმარებლო ბაზრის სახელმწიფო კონტროლი. მუდმივად მოწმდება სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების კვების ბლოკები, სადაც სურსათის უვნებლობის სტანდარტები წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული. აღნიშნულ დაწესებულებებში მოწესრიგდა ჰიგიენური მდგომარეობა, მათ შორის, პერსონალის ჰიგიენა, სურსათის ტემპერატურული რეჟიმის დაცვა, რეცხვა-დეზინფიცირება. სასწავლო დაწესებულებების შემოწმების გარდა, გაძლიერებულია რისკზე დაფუძნებული სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი. რეგიონის მასშტაბით ფუნქციონირებს 4 ცხოველთა სასაკლაო.

სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ბიზნესოპერატორთა მონაცემების სრულყოფა. საიდენტიფიკაციო მონაცემების ელექტრონული რეესტრის შექმნის მიზნით, სააგენტოს სპეციალისტები „კარდაკარ“ პრინციპით ადგენენ და აზუსტებენ მონაცემებს. ამ დროისთვის ელექტრონულ რეესტრში შეტანილია 700-მდე ბიზნესოპერატორის მონაცემები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მეფუტკრეობის განვითარების პოტენციალი არსებობს. ევროკავშირის ბაზარზე თაფლის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, სურსათის ეროვნულ სააგენტოს სპეციალისტები ახორციელებენ საინფორმაციო კამპანიას, რომლის ფარგლებშიც მომზადდა და დაიბეჭდა მეფუტკრე-ფერმერის გზამკვლევი „ქართული თაფლის გზა ევროპისკენ“. საინფორმაციო მასალები ვრცელდება როგორც სააგენტოს სამსახურების, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მეშვეობით. ამასთან, სააგენტოსა და დონორი ორგანიზაციების მიერ მოეწყო შეხვედრები სხვადასხვა მიმართულების ბიზნესოპერატორებთან (მეფრინველეობა, ცხოველთა სასაკლაოები, რძის სექტორი, ხორცისა და ხორცპროდუქტების მწარმოებელი ბიზნესოპერატორები), რაც ხელს უწყობს სურსათის უვნებლობის სტანდარტების დანერგვას.

მცხეთა-მთიანეთში, როგორც მაღალმთიან რეგიონში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მეცხოველეობაა. შესაბამისად, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვას და ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნების მიზნით, ხორციელდება პირუტყვის ვაქცინაცია შემდეგ დაავადებებზე: თურქული, ჯილეხი, ცოფი, ნოდულარული დერმატიტი, ცხვრისა და თხის ყვავილი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი. მიმდინარეობს ბრუცელოზის სერომონიტორინგი - სისხლის ნიმუშების კვლევა.

პირუტყვის აღრიცხვიანობისა და მიკვლევადობის მიზნით, 2012-2016 წლებში იდენტიფიცირებულია 54 ათასზე მეტი მსხვილფეხა და 1300 ზე მეტი წვრილფეხა პირუტყვი.

მცენარეთა დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს საკარანტინო მავნებლების საწინააღმდეგო ღონისძიებები. 2014 წელს, იტალიური კალიის საწინააღმდეგოდ დამუშავდა 40 ჰექტარი ფართობი და მინიმუმამდე შემცირდა მავნებლის გავრცელება რეგიონში; 2015-2016 წლებში დამატებითი წამლობის ჩატარება საჭირო აღარ გახდა. სააგენტო ასევე ახორციელებს კვლევას საკარანტინო ორგანიზმებზე. ლაბორატორიიდან მიღებული ნიმუშების კვლევის შედეგებით, რეგიონის ტერიტორიაზე საკარანტინო ორგანიზმი არ დადასტურებულა.

მომხმარებლის და ფერმერთა ინტერესების დაცვის მიზნით, მიმდინარეობს პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი და ფალსიფიცირებული, მოძველებული, უხარისხო პრეპარატების ქსელიდან ამოღება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

დღეისათვის, საქართველოს მასშტაბით, რეგისტრირებულია 1506 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში რეგისტრირებულია 84 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

მცხეთა - 10, დუშეთი -24, თიანეთი -18, ყაზბეგი -32.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ძირითადად საქმიანობენ მეფუტკრეობისა და მესაქონლეობის მიმართულებით.

სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების მცირე გაბარიტიანი აგროტექნიკით აღჭურვის პროგრამა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მცირე გაბარიტიანი აგროტექნიკით აღჭურვის პროგრამა მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკის კოოპერატივებისათვის გადაცემას შეღავათიან ფასად, 900 ლარად (რაც მისი ღირებულების 24 % შეადგენს), ითვალისწინებს. თითოეულ კომპლექტში შედის მოტობლოკის აგრეგატი სათიბით, გუთნით, კულტივატორით და ხელის სათესი. დევნილებისა და ეკომიგრანტების მიერ შექმნილ, ასევე მაღალმთიან, სასაზღვრო და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ კოოპერატივებს თითო კომპლექტის შესყიდვისას, დამატებით, 1 ხელის სათესი 1 ლარად გადაეცემათ.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 35 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე გაცემულია 53 აგროკომპლექტი და 9 ხელის სათესი.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე გაცემული აგროკომპლექტები:

- მცხეთის მუნიციპალიტეტი - 4 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის 6 აგროკომპლექტი;
- დუშეთის მუნიციპალიტეტი - 10 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის 14 აგროკომპლექტი და 5 ხელის სათესი;
- თიანეთის მუნიციპალიტეტი - 8 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის 10 აგროკომპლექტი და 2 ხელის სათესი;
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტი - 13 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის 23 აგროკომპლექტი და 2 ხელის სათესი.

მეფუტკრეობის სასოფლო–სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა

მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს სკები, თაფლის საწური (ციბრუტი) და ჯამურად 2200 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ჭურჭელი 70%-იანი თანადაფინანსებით გადაეცემათ.

პროგრამაში მონაწილე კოოპერატივები იღებენ ტექნიკურ დახმარებას „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბერის N714 დადგენილების“ ძირითადი მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით, ასევე, პროგრამაში მონაწილეს უფლება აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში უსასყიდლოდ გამოსაკვლევად წარმოადგინოს მის მიერ წარმოებული თაფლის ერთი ნიმუში.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 14 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივმა მიიღო 1033 სკა, 2 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა 2 ერთეული თაფლის საწური (ციბრუტი) და 2 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს (თითოეულ მათგანს) 2200 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ავზები.

ტრეინინგები კოოპერტივებისათვის

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 50 კოოპერატივის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მენეჯერებისა და წევრებისათვის ჩატარებულ ტრეინინგებში. სასწავლო პროგრამისთვის სპეციალურად შემუშავდა მოდულები, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საფუძვლებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაციული განვითარების ციკლს, საორგანიზაციო აუდიტის მეთოდოლოგიას, სამართლებრივ რეგულირებას და შიდასაწარმოო ურთიერთობების წესებს.

ტრენინგები ხორციელდება ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითა-

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი - 2013-2016 წლებში განხორციელებული პროექტები







რებისათვის საქართველოში (EU/ENPARD) პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების ხელშემწყობი პროექტის“ ფარგლებში, კომპანია EVOLUXER S.L მიერ.

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

2014-2016 წლებში სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში სხვადასხვა მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება განახორციელა.

ჯიღაურას ექსპერიმენტალური ბაზის ხეხილისა და ვაზის საკოლექციო ნარგაობაში (80 ჰა ფართობზე) ჩაატარა შემდეგი ღონისძიებები:

მრავალწლოვანი კულტურების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება, საკოლექციო ნარგაობების მოწყობა

- განხორციელდა და კვლავ გრძელდება ქართული და ინტროდუცირებული ჯიშების შესწავლა და მათი გამოყენების პოტენციალის შეფასება;
- ჩატარდა ვაზის საღვინე და სასუფრე მიმართულების 50 ჯიშის ფენოლოგიური ფაზების შესწავლის ღონისძიებები;
- შეიქმნა კოლექციაში დაცული ვაზის ინტროდუცირებული და ქართული ჯიშების, ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედეების ელექტრონული ვერსია;
- შემდგომი გამრავლებისა და კოლექციაში დაფიქსირების მიზნით, რეგიონებიდან ვაზის 15 ადგილობრივი, იშვიათი ჯიშის საკვირტე მასალის შეგროვება მოხდა;
- ხეხილის ჯიშების ინტროდუცია, შესწავლა და მათგან საუკეთესოების შერჩევა;
- ხეხილის ნერგის წარმოებისა და სხვლა-ფორმირების ინოვაციური ტექნოლოგიების სრულყოფა-შემუშავება;
- აგროსატყეო კულტურების კვლევა და ბიოლანდშაფტების მოწყობის მიზნით გაშენდა ტყის საკოლექციო ნარგაობა;
- ხორციელდება ტყის იშვიათი სახეობებისა და ხეხილის ველური წინაპრების გენეტიკური რესურსების მოძიება და შესწავლა;
- თუთის ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიშების კვლევის, დაავადებების მიმართ ტოლერანტული ფორმების გამოვლინების, მათი ბიოლოგიური თვისებების შესწავლისა და საკოლექციო ნაკვეთების მოწყობის მიზნით გაშენდა საკოლექციო ნაკვეთი, სადაც დაირგა ქართლის ზონაში გაზრდილი თუთის 400-მდე ჰიბრიდული ფორმა, პოლონეთიდან შემოტანილი სამი ჰიბრიდული ჯიში და სამასი ძირი თესლნერგი.
- მეაბრეშუმეობის აღდგენისა და დარგის განვითრების მიზნით ცენტრში თუთის საკოლექციო ნარგაობის მოწყობა ხორციელდება;
- გაშენებულია სამკურნალო კენკროვანი მცენარის, გოჯის (WOLFBERRY) 5 ჯიშის 1 000 საბაზისო ნერგი;

მიზანი:

მრავალწლოვანი კულტურების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება- კონსერვაცია, საკოლექციო ნარგაობების მოწყობა, ჯიშების გამოცდა, და საუკეთესოების რეკომენდება წარმოებისთვის.

სუპერელიტური და ელიტური სათესლე მასალის მიღება, თავთავიანი კულტურების ძირითადი დაავადებების შესწავლა

- სოფელ წილკანში, ჯიშთა გამოცდისა და სანერგის მოსაწყობად შეგროვდა და დაითესა თავთავიანი კულტურების ჯიშები და პერსპექტიული ფორმები 47 ნომრის რაოდენობით - ქართული და საქართველოში დარეგისტრირებული 6 ჯიში; 10- რუსული; 8 - ავსტრიული; 1 - ფრანგული; 2 - გერმანული; საერთაშორისო სანერგეებიდან (CIMMYT-ICARDA) შერჩეული 15 პერსპექტიული ჯიში; 3 - ქერის; 1 - ტრიტიკალეს და 1 - ჭვავის ჯიში.
- ჩატარდა თავთავიანი კულტურების 72 სახესხვაობაზე გენეტიკური რესურსის რეგენერაციის სამუშაოები;
- დამუშავდა საგაზაფხულო ხორბლის (ISBWYT; DS-BWYT; SBW-ON) 180 გენოტიპი და საგაზაფხულო ქერის (GSBSN; GSBYT) 175 გენოტიპი; მიმდინარეობს საერთაშორისო სანერგეებიდან მიღებული ხორბლის 180 და ქერის 175 გენოტიპის შესწავლა და გამორჩევა;
- საკოლექციო და სელექციურ სანერგეში ექსპედიციების შედეგად მოძიებული ბოტნეულ-ბაღჩეული კულტურების ჯიშების/ჰიბრიდების შესწავლა/გამოცდა ხორციელდება.
- ელიტური თესლის მიღების მიზნით განხორციელდა გამორჩეული ჯიშების გამრავლება;

მიზანი:

თავთავიანი კულტურების სელექცია, გენოფონდის დაცვა და პირველადი მეთესლეობის დაჩქარებული მეთოდიკის დამუშავება; სუპერელიტური და ელიტური სათესლე მასალის მიღება; თავთავიანი კულტურების ძირითადი დაავადებების შესწავლა; გენოფონდის დაცვა და გაუმჯობესება.

ერთწლოვანი კულტურების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება – კონსერვაცია, საკოლექციო ნარგაობების მოწყობა, ჯიშების გამოცდა

- განხორციელდა საკოლექციო და სელექციურ სანერგეში ექსპედიციების შედეგად მოძიებული ბოტნეულ-ბაღჩეული კულტურების ჯიშების/ჰიბრიდების შესწავლა/გამოცდა.
- მიმდინარეობს საპარკე და სამარცვლე პარკოსანი კულტურების შესწავლის, სელექციისა და პირველადი მეთესლეობის წარმოების მიზნით პარკოსანი კულტურების 8 სახეობაზე ჯიშთა გამოცდა და მონაცემების დამუშავება;
- მოეწყო ალისარჩულისა და მზესუმზირის პერსპექტიული ჯიშების გამრავლების სანერგე;
- წილკნის საცდელ ბაზაზე, ჯიშთა გამოცდის მიზნით, ღია გრუნტსა და სათბურში დაითესა კარტოფილის ინტროდუცირებული ჯიშები, ასევე საკოლექციო სანერგეში დაირგო სამხრეთ კორეიდან ინტროდუცირებული ერთწლოვანი კულტურები;

მიზანი:

ერთწლოვანი კულტურების ადგილობრივი გენოფონდის მოძიება- კონსერვაცია, საკოლექციო ნარგაობების მოწყობა, ჯიშების გამოცდა და საუკეთესოების რეკომენდება წარმოებისთვის; მოვლა-მოყვანისა და ბიოაგროწარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავება

ბიოაგროწარმოების განვითარება

- სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის ბიოწარმოების მიზნით, წილკნის ბაზის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთებზე (3,128 ჰა-ზე) მოეწყო ბიომეურნეობის ახალი ტექნოლოგიების და ბიო-პრეპარატების გამოცდა.
- ჩატარდა პესტიციდების ალტერნატიული საშუალებების, პესტიციდური აქტივობის მცენარეების, ეკოლოგიურად უსაფრთხო ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის ხალხური საშუალებების კვლევა.
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წილკნის ექსპერიმენტალურ ბაზაზე მიმდინარეობს ბიომეთოდებით სამარცვლე-პარკოსანი, ტექნიკური და ბოსტნეული კულტურების მოყვანა.
- შეიქმნა ბიოფერმერთა მონაცემებთა ელექტრონული ბაზა;
- ექსტენციის პროგრამის ფარგლებში მომზადდა სასწავლო პროგრამა ბიოაგროწარმოებაში;

მიზანი:

ბიოაგროწარმოების განვითარება საქართველოში და მისი ხელშეწყობა.

საკვებწარმოების ბაზის შექმნა

- საფუძველი ჩაეყარა საკვებწარმოების თესლბრუნვას 21 ჰა-ზე ფართობზე. აგროწესების სრული დაცვით, დაითესა სასილოსე სიმინდის ორი ჯიში: „აჯამეთის თეთრი“ და „ქართული კრუგი“;
- სოფელ მუხრანის ტერიტორიაზე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კუთვნილებაში არსებულ 21 ჰა ფართობზე დაითესა იონჯა (2,5 ჰა), შვრია (6 ჰა), სასილოსე სიმინდი (3 ჰა), ამარანდა (0,3 ჰა); 0,36 ჰა ფართობზე დაითესა მშრალი რეგიონებისათვის განკუთვნილი საკვები ბალახების სხვადასხვა სახეობები.

მიზანი:

მარცვლეული კულტურების ჯიშთა გამოცდის საფუძველზე, საკვებწარმოების ბაზის შექმნა;

ექსტენციის პროგრამა

- ჩატარებულია თემატური პრაქტიკული და თეორიული სემინარები;
- დარიგებულია 33 დასახელების თემატური ბროშურა;
- დარიგებულია ფენოკალენდარული სქემები;
- განხორციელებულია სატელეფონო და ონლაინ რეჟიმში სარეკომენდაციო მომსახურეობა;
- ჩატარებულია სემინარი/ტრეინინგი: მეთევზეობის, აკვა-კულტურისა და მეფუტკრეობის განვითარების საკითხებზე;
- მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტში მოეწყო „საველე დღეები“ სადაც ფერმერები, მუნიციპალიტეტების, საკონსულტაციო-საინფორმაციოს სამსახურის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები გაეცნენ ერთწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის მეთოდებს. მიიღეს ინფორმაცია ახალი ჯიშებისა და ტექნოლოგიების შესახებ;
- ჯიღაურის ექსპერიმენტულ ბაზაზე პერმანენტულად მიმდინარეობს თემატური სემინარი-ტრეინინგები, ხილის, კენკროვანი და კაკლოვანი კულტურების, პროექტი „დანერგე მომავლის“ ფარგლებში ინტენსიური ბაღების სხვლა-ფორმირებების, მოვლა მოყვანის ახალი ტექნოლოგიების შესახებ;

მიზანი:

ფერმერთა ცოდნის, გაღრმავება, თანამედროვე ტექნოლოგიების, ახალი ჯიშებისა და ახალი მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიღება და გამოცდილების, გაზიარება.

სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისა და ჰუნანის პროვინციის სოფლის მეურნეობის ჯგუფის ორგანიზებით, საქართველო-ჩინეთის ტექნიკური თანამშრომლობის პროექტის ფარგლებში, ბაზალეთის სასწავლო ცენტრში და ქალაქ რუსთავში ჩატარდა გრძელვადიანი ტრენინგების (12 დღიანი სემინარი) 6 ეტაპი და ჩინეთში ერთთვიანი სასწავლო კურსი, რომლის მიზანს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებისთვის და ფერმერებისთვის ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა და სწავლება წარმოადგენდა.

მეცხოველეობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მეცხოველეობის მიმართულებების განვითარებაზე აქტიური მუშაობა მიმდინარეობს

საქართველოში მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. მცხეთა-მთიანეთის რეგიონიც არ არის გამონაკლისი, შესაბამისად, რეგიონის ძირითადი მაპროფილებელი დარგი სოფლის მეურნეობა, ხოლო ერთ-ერთი მთავარი მიმართულება მეცხოველეობაა.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მეცხოველეობის წარმოების უძველესი ტრადიციები, სავარგულების, განსაკუთრებით კი, საძოვრების დიდი მასივების არსებობა მესაქონლეობის განვითარების უდიდეს რესურსს ქმნიან. დარგში არსებული გამოწვევების გამო, ამ ეტაპზე, აღნიშნული პოტენციალის სრული ათვისება ვერ ხდება.

რეგიონში სულ 47 175 სული პირუტყვია, მათ შორის 36 650 ფური. საშუალო წველადობა ერთ ფურზე 1200 კგ-ს (მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც პირველად წარმოებში რძე იზომება კგ-ში) არ აღემატება. საშუალოდ 1 ჰექტარ საძოვარზე განთავსებულ მსხვილი რქოსნის რაოდენობა შეადგენს 0.3 სულ პირუტყვს, რაც საძოვრის სულადობით დატვირთვის ნორმას 3-4 ჯერ ჩამორჩება.

რეგიონის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში სავარგულების რთული რელიეფი, მკაცრი კლიმატი და ზოგიერთი სხვა ფაქტორი ზღუდავს და ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის შემოყვანილი და მაღალპროდუქტიული ჯიშების მოშენებას. შესაბამისად, აღნიშნულ ზონებში მესაქონლეობა (კერძოდ მეძროხეობა) წარმოდგენილია ქართული მთის ძროხის ფშავ-ხევსურული პოპულაციით და მისი კავკასიურ წაბლა ჯიშთან ნაჯვარებით, რომლებიც მთის ციცაბო საძოვრების გამოყენების კარგი უნარით, ამტანობით და გამძლეობით, რძის მაღალი ცხიმიანობითა და სხვა უნიკალური თვისებებით ხასიათდება.

უკანასკნელ წლებში, დუშეთის და თიანეთის მაღალმთიან



სოფლებში ქართული მთის ხალასჯიშიანი სულადობა მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი. სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტების მიერ მოძიებულია ტიპური ეგზემპლარები და ჯიშის აღდგენის, სანაშენე ბირთვების ჩამოყალიბების, გენეტიკური ბანკის შექმნის და მოშენება-სრულყოფის მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა. ამ რეგიონის უკანა ფშავის სოფლებში, სამეცნიერო-კვლევით ცენტრში მოშენებული სელექცირებული სულადობის ბაზაზე, დაგეგმილია სანაშენე ფერმერული მეურნეობების შექმნა. მაღალმთიანი ზონის ფერმერულ მეურნეობებში საკვები ბაზის და სანაშენე მიმართულებით მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების პირობებში, უახლოეს წლებში, შესაძლებელი იქნება ქართული მთის ჯიშის ფურების საშუალო წველადობა გაიზარდოს 1300-1500 კგ-მდე. რაც შეეხება ამავე რეგიონის შუა მთის და მთისწინა სოფლებს, აქ სასურველია მოხდეს ქართული მთის ჯიშის პირუტყვთან ერთად, კავკასიური წაბლას მოშენება ან ადგილობრივი საქონლის გაუმჯობესება შვიცურთან, ასევე პატარატანიან სარძეო ჯიშებთან (მაგალითად, ჯერსეის ჯიშთან) შეჯვარებით, რომელიც, რა თქმა უნდა, მეცნიერული კვლევების ჩატარების შემდეგ უნდა განხორციელდეს.

მთის საძოვრებზე ძროხის ხორცის წარმოების გაზრდის დიდი რეზერვი არსებობს. მისი ეფექტიანად გამოყენების მიზნით, საჭიროა პირუტყვის საძოვარზე გასუქების ტექნოლოგიის სრულყოფა, საძოვრების გაუმჯობესება, დაბალპროდუქტიული გამოწუნებული ფურების და



დეკეულების შეჯვარება მეხორცულ ჯიშებთან (ჰალოვეი, აბერდინ-ანგუსი) და მიღებული ნაჯვარების ინტენსიური გამოზრდა.

ზამთრის საკვების და სადგომების სიმცირის გამო, ზამთარში უმჯობესია პირუტყვის სულადობა შემოიფარგლოს ძირითადად ფურებით, დეკეულებითა და უშობელებით (გაუნაყოფიერებული დეკეული), ხოლო 6-8 თვისა და უფროსი ასაკის მოზვრები, საძოვარზე გამოზრდის შემდეგ გაიყიდოს ბარის ზონაში გასასუქებლად. რეკომენდირებულია მათი მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტის ფერმერებისათვის გადაცემა, სადაც პროდუქტიული ხორცის მისაღებად დამკვიდრებულია მოზვრების გასუქების კვების კარგი ტრადიცია.

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში, სადაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 51% სახნავი მიწებია და მეცხოველეობის პროდუქციის რეალიზაციის საუკეთესო პირობებია, მოსახლეობა უნდა დაინტერესდეს მაღალინტენსიური სარძეო მეძროხეობის განვითარებით. ამ მიზნით მიზანშეწონილია ჰოლშტინური, სარძეო მიმართულების შვიცური და ჯერსული ჯიშების შემოყვანა-მოშენება და ამ ჯიშებით დაბალპროდუქტიული ადგილობრივი პირუტყვის ჩანაცვლება. მნიშვნელოვანია მოეწყოს მაღალი დონის საკვებწარმოება, გაუმჯობესდეს ცხოველთა ხელოვნური განაყოფიერების და ვეტერინარული მომსახურეობის სერვისი.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მაღალმთიან სოფლებში სამეურნეო საქმიანობის ძირითად მიმართულებად მიჩნეულია ეკოლოგიური მეცხოველეობის განვითარება, ფერმერული მეურნეობების კოოპერირება და მეცხოველეობის გადამამუშავებელი მცირე საწარმოების ქსელის გაფართოება. ეკომეურნეობებში წარმოებული ორგანული პროდუქცია, რომლის ბაზარი სწარაფად მზარდია, უზრუნველყოფს მესაქონლეობის დარგის განვითარებას, მთის მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესებას და შემოსავლების ზრდას, სოფლად დამაგრებას. ამასთან, ეკომეურნეობები და ორგანული პროდუქციის წარმოება ხელს შეუწყობს ეკოტურიზმის განვითარებას და ეკოსისტემის დაცვას. მცხეთა-მთიანეთის რეგიონს აქვს ბიოპროდუქციის წარმოების დიდი პოტენციალი, რომლის მაქსიმალური ათვისება უნდა მოხდეს.

მეცხვარეობა მცხეთა–მთიანეთში

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მეცხვარეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომლის განვითარება ბუნებრივმა კლიმატურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა განაპირობა. რეგიონში ძირითადად წარმოდგენილია თუშური ცხვარი, რომელიც მიეკუთვნება უხეშმატყლიანი ცხვრების ჯიშს და გამოირჩევა საუკეთესო სამეურნეო და



ბიოლოგიური თვისებებით. ზრდასრული ვერძების წონა 60 -70 კგ-ის, ნერბების 35-45 კგ- ის, ახალშობილი ბატკნის 2,5 - 3 კგ- ის, ხოლო 4 თვის ასაკში დედას მოშორებული ბატკნების 12 - 19 კგ-ის ფარგლებში მერყეობს. შემოდგომაზე, მთიდან გადმორეკვის წინ, ნაიალაღარი ბატკანის ცოცხალი წონა 25-35 კგ-ს აღწევს;

სხვა უხეშმატყლიანი ცხვრების მსგავსად, ვერძებსა და ნერბებს პარსავენ წელიწადში ორჯერ - გაზაფხულზე და შემოდგომაზე, ხოლო მოზარდს (ბატკანს) შემოდგომაზე. ვერძების წლიური ნაპარსი 4 - 5 კგ-ს, ნერბების 2,5 - 3,5 კგ-ს, ხოლო ბატკნის შემოდგომის ნაპარსი 0,8 - 1,2 კგ-ს აღწევს.

უხეშმატყლიან ჯიშებს შორის თუშური ცხვრის მატყლი ხარისხით ერთ-ერთი საუკეთესოა და ფრაქციული შედგენილობით და სინაზით ნახევრად უხეშ მატყლს უახლოვდება. ის თეთრი ფერისაა და გამოირჩევა სიმაგრით, დრეკადობით, ელასტიურობით და ბზინვარებით (ლუსტროვნობით). მატყლის კულულის საშუალო სიგრძეა 11-16 სმ-ს, ცალკეულ შემთხვევაში კი, 30 სმ-ს აღწევს. თივთიკის საშუალო სიგრძე 6,5 - 9 სმ, ხოლო გარდამავალი ბოჭკოების კი, 7,5-10,5 სმ-ია.

საუკეთესო ტექნოლოგიური თვისებების გამო თუშური ცხვრის მატყლი გამოიყენება როგორც ხალიჩების, ასევე სხვადასხვა ქსოვილების დასამზადებლად.

1,5 წლის ცხვარს ხორცის გამოსავალიანობა, გამომდინარე მათი ცოცხალი წონიდან, 43 - 48%-ის, ხოლო ზრდასრულების 40 - 47%-ის ფარგლებში იცვლება. თუშური ცხვრის ხორცი გემოვნებით, კულინარიული და ტექნოლოგიური თვისებებით ერთ-ერთი საუკეთესოა. რძისგან მზადდება გუდის ყველი, რომელიც გამორჩეული გემოსა და ფიზიკურ-ქიმიური თვისებების წყალობით, განსაკუთრებით მოთხოვნადია და ძვირადღირებული.

მეცხვარეობის პროდუქციის ზრდა ცხვრის სრულფასოვანი და სწორი კვების, სანაშენე მუშაობის სწორი ორგანიზაციის, მეცხვარეობის საწარმოო პროცესების გაუმჯობესების უზრუნველყოფის შემთხვევაში, მოკლე დროშია შესაძლებელი.

მცხეთა–მთიანეთში ასევე გავრცელებულია მერძეული თხები, რომელთა წარმოშობა გაურკვეველია და პროდუქტიულობითა თუ გარეგნული შესახედაობითაც მკვეთრად განსხვავებულია. მათი შეფერილობაც სხვადასხვაგვარია. საერთო სულადობიდან 51,8 % - შავი ფერისაა, 33,5 % – თეთრი, 8,23% – ნაცრისფერი, 3,87% – მოჟოლოწითელი და 2,6% – ჩალისფერი. ამ თხების უმრავლესობა რქიანია. ვაცების ცოცხალი მასა 45–65 კგ- ს, ხოლო ნეზვების – 35–50 კგ-ს ფარგლებში მერყეობს. მათი მერძეულობა – 100–200 კგ–ის და ნაყოფიერება – 115–125 % - ის ფარგლებში აღწევს. ცხოველს ახასიათებს სხეულის კარგი ბეწვიანი საფარველი, რომელიც წარმოდგენილია უხეში და ნაზი ბეწვით (თივთიკი). აღნიშნული ჯიშის თხა კარგად არის შეგუებული მომთაბარე პირობებს და ყოველთვის ფარას წინ მიუძღვება.

მეცხენეობა მცხეთა–მთიანეთში

მცხეთა–მთიანეთის რეგიონში მეცხენეობა უძველესი დროიდან იყო განვითარებული, რაც განპირობებული იყო უპირველეს ყოვლისა რეგიონის მთიანი რელიეფით. მცხეთა-მთიანეთში ძირითადად წარმოდგენილია თუშური ცხენის ჯიში.

თუშური ცხენი წარმოადგენს კავკასიის ერთ-ერთ უძველეს ჯიშს, რომელიც ხალხური სელექციის შედეგად საქართველოს მთიანი ზონის ბუნებრივ კლიმატურ პირობებშია მოშენებული. იგი ხასიათდება კარგი ამტანობით, სიმამაცით, კარგი ორიენტაციის უნარით, ტემპერატურული ცვლილებებისადმი შემგუებლობით და მსუბუქი ნაბიჯებით. ყველა ეს თვისება აუცილებელი და მნიშვნელოვანია მთაში მოძრაობისთვის. აღნიშნული ჯიშის ცხენი საჯდომ-სასაპალნე დანიშნულებისაა, შრომისუნარიანი და სწრაფია. ცხენოსნობა ძირითადად განვითარებული იყო და არის ხევსურეთში. აქაური ცხენი მთასთან შეგუების უნარით არის განთქმული.

მეღორეობა მცხეთა–მთიანეთში

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მეღორეობის მიმართულებით მცირე ფერმერული მეურნეობების განვითარება სასურველია ორი მიმართულებით მოხდეს:

1. ინტენსიური მეღორეობის განვითარება - მსოფლიოში

აპრობირებული თანამედროვე ჯიშებისა და შეჯვარების სქემების გამოყენებით.

2. ტრადიციული მომთაბარე მეღორეობის აღორძინება - ნახევრად ინტენსიური სისტემების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს რეგიონში არსებული ნაყოფისმომცემი ტყის მასივების ათვისებას და კახური ღორის აღდგენა-მოშენებას.

სტაციონალური ინტენსიური მეღორეობის შესაქმნელად სპეციალისტების მიერ რეკომენდებულია ჰიბრიდული ღორის მოშენება, რისთვისაც შეჯვარებაში დედისეულ ჯიშებად უნდა იყოს გამოყენებული:

- ლანდრასის ჯიში (დანიური, გერმანული ან შვედური);
- მსხვილი თეთრი;
- იორქშირი;

მამისეულ ჯიშებად რეკომენდებულია:

- დიუროკის ჯიში (ამერიკული, კანადური ან ევროპული);
- ჰემპშირი;
- პეტრენი;



მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მოშენებული ღორის სიცოცხლისუნარიანობის, პროდუქტიულობისა და მასის გაზრდის მიზნით სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სპეციალისტებმა ღორის 2-3 ჯიშიანი ჰიბრიდების გამოყვანის ეფექტიანი სქემის ვარიანტები დაამუშავეს. შედეგებზე დაყრდნობით ფერმერებისათვის მომზადდა ბროშურა - „ღორის სელექცია და დაავადებათა პროფილაქტიკა“.

მეფრინველეობა მცხეთა-მთიანეთში

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება მეფრინველეობაა. რეგიონში გავრცელებულია ადგილობრივი ქათმის 5 პოპულაციის ფრინველი (ჩალისფერი, შავი, ნაცარა, მეგრულა და ყელტიტველა). დუშეთისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში განსაკუთრებით გავრცელებულია შავი და ნაცარა ქათმის პოპულაციები და ადგილობრივი ჩალისფერი ინდაური (დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლები კადუეთი და ლამუანი). მცირე რაოდენობით გავრცელებულია ადგილობრივი ჭრელი იხვის და ჯავახური რუხი და ჭრელი ბატის პოპულაციები. მცირე რაოდენობის ფერმერული მეურნეობები ახორციელებენ მაღალპროდუქტიული ბროილერის ან მეკვერცხული მიმართულების ფრინველის მოშენებას. ასეთი მეურნეობებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანში მდებარე ბროილერული საწარმო „მუხრანი“, რომელიც ყოველწლიურად 100 ათას ფრთამდე ბროილერს აწარმოებს. რეგიონის სოფლებში - მუხრანი, მჭადიჯვარი, მისაქციელი, წილკანი და სხვა - საკარმიდამო, მცირე ფერმერულ მეურნეობებში წლის განმავლობაში საშუალოდ 2000-დან 4000 ფრთამდე ბროილერის მოშენება ხორციელდება. თითქმის ყველა ოჯახური ტიპის საკარმიდამო მეურნეობაში დაახლოებით 15-20 ფრთა ფრინველი ჰყავთ მოშენებული.



„ცხოველის მეპატრონეებმა ვეტერინართან უნდა ითანამშრომლონ“

ინტერვიუ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტის უფროსთან, ლაშა ავალიანთან.

- რა უნდა იცოდეს ცხოველის მეპატრონემ პირუტყვის ჯანმთელობის დაცვისთვის და რომელ დაავადებებზე ახორციელებს სახელმწიფო ვაქცინაციას?

- სურსათის ეროვნული სააგენტო ცხოველთა ჯანმრთელობის დასაცავად და ზოონოზური (ცხოველისა და ადამიანისთვის საერთო) დაავადებების პრევენციისთვის, შინაური ცხოველების პროფილაქტიკურ და იძულებით ღონისძიებებს ყოველწლიურად ატარებს. განსაკუთრებით საშიში და რეგიონისთვის ენდემური დაავადებების საწინააღმდეგოდ ჩატარებული პროფილაქტიკური აქტივობები მეცხოველეობის დარგის წახალისებას და განვითარებას უწყობს ხელს.

ვეტერინარულ კალენდარში აქტივობები დაგეგმილია მთელი წლის განმავლობაში და შესაბამისი რისკების და ზონების მიხედვით ტარდება. თურქული, ჯილეხი, ცოფი, ბრუცელოზი, ნოდულარული დერმატიტი, ცხვრისა და თხის ყვავილი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი - ეს ის დაავადებებია, რომელთა საწინააღმდეგო ვაქცინაცია სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ტარდება. უნდა აღინიშნოს, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული ყველა პრევენციული თუ აღმკვეთი ღონისძიება ცხოველის მეპატრონისთვის სრულიად უფასოა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამით ფინანსდება.

მნიშვნელოვანია ცხოველთა მეპატრონეებს, ფერმერებს ჰქონდეთ ინფორმაცია დაავადებების პრევენციის, ვაქცინაციის სწორად და დროულად ჩატარების შესახებ. მიმდინარე წელს საგაზაფხულო ვაქცინაცია თურქულისა და ჯილეხის საწინააღმდეგოდ თებერვლიდან დაიწყება. იმუნიზაცია პროფილაქტიკური ხასიათისაა.

აგრეთვე ბრუცელოზთან ბრძოლის მრავალწლიანი სტრატეგიის შესაბამისად, გაზაფხულზე ზოგ რეგიონებში დაიწყება მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია, რომელიც მომდევნო წლებში მთელს საქართველოს მოიცავს. ცხვრისა და თხის ყვავილის და წვრილფეხა პირუტყვის ჭირის პროფილაქტიკისთვის პირუტყვის იმუნიზაცია, ცხოველთა სეზონურ გადარეკვამდე ჩატარდება.

გაზაფხულიდანვე იწყება და ზაფხულის თვეებში გრძელდება შინაური ცხოველების - ძაღლისა და კატის მასიური ვაქცინაცია ცოფზე.

მნიშვნელოვანი სიახლეა ის, რომ წელს წვრილფეხა პირუტყვის ბრუცელოზის საწინააღმდეგო ვაქცინაცია თვალში ჩაწვეთების მეთოდით მოხდება. აღნიშნული პროცესი ზაფხულშია გათვალისწინებული.

ცხოველთა სეზონური მიგრაციისას (გადარეკვა) დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვექტორული (გარეგანი პარაზიტების მიერ გადამტანი) დაავადებების კონტროლს. მათი პრევენციის მიზნით დაგეგმილია ცხოველების დამუშავება (გაბანება) ისექტო-აკარიციდული პრეპარატებით. უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლიდან ამოქმედდა სპეციალური ბიოუსაფრთხოების პუნქტები (ვეტერინარული პუნქტი) ცხოველთა გადასარეკ ტრასებზე, სადაც სააგენტოს ვეტერინარების ზედამხედველობით, ხდება პირუტყვის განბანა და პარაზიტებზე დამუშავება. აღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვანია დაავადებების გადატანა-გავრცელების პრევენციისთვის.

ვექტორულ დაავადებას მიეკუთვნება ასევე ყირიმ-კონგოს ჰემორაგიული ცხელება, რომელიც ადამიანებში მაღალი ლეტალობით (სიკვდილიანობით) ხასიათდება. შემთხვევების პრევენციის მიზნით ადამიანის დაავადების კერებში სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ხორციელდება ცხოველებისა და მათი სადგომების დამუშავება ინსექტო-აკარიციდული პრეპარატებით.

- ვეტერინარული კალენდარი ორ ნაწილად იყოფა. რომელ დაავადებებზე ტარდება საშემოდგომო ვაქცინაცია ?

- წლის მეორე ნახევრის (საშემოდგომო) კამპანიას



ჩვენ ვიწყებთ სექტემბრიდან მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის თურქულის საწინააღმდეგო იმუნიზაციით. გარდა ამისა, ჯილეხის ინფექციის ისტორიულ და რისკის ზონებში მოხდება მოზარდი ცხოველების რევაქცინაცია (განმეორებითი იმუნიზაცია). ამავე პერიოდს ემთხვევა რისკის ზონებში მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაცია ნოდულარულ დერმატიტზე.

ვეტერინარული კალენდრის მიხედვით გათვალისწინებული ამ გეგმური ღონისძიებების გარდა, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობს ცხოველის ჯანმრთელობაზე ზედამხედველობა. დაავადების გამოვლენის მიზნით, ცხოველთა სასაკლაოებზე მუდმივ სახელმწიფო კონტროლთან ერთად მიმდინარეობს ზედამხედველობა დაავადება ტუბერკულოზზე. სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ დაავადებაზე ეჭვის მიტანის შემთხვევაში ტარდება ლაბორატორიული კვლევები.

ბრუცელოზის კონტროლისა და პრევენციის პროგრამის შესაბამისად ხდება სისხლის ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევა.

ზემოთაჩამოთვლილი დაავადებების დაფიქსირების შემთხვევაში ხორციელდება ცხოვლების იძულებითი ვაქცინაცია და სხვა ვეტერინარულ-სანიტარული ღონისძიებები, როგორებიცაა კარანტინი, შეზღუდვა, დეზინფექცია, დეზინსექცია და ა.შ.

- რა ეტაპზეა ცხოველებისა და მათი სადგომების რეგისტრაცია-იდენტიფიკაცია და რა სარგებელს იღებს ფერმერი თუ ცხოველის მეპატრონე აღნიშნული პროგრამით?

- სხვა ღონისძიებების (ვაქცინაცია, გამოკვლევები) პარალელურად, მთელი წლის მანძილზე მიმდინარეობს წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია და მათი სადგომების რეგისტრაცია, რომლის მონაცემებიც აღირიცხება შესაბამის ელექტრონულ ბაზაში.

იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის შედეგად სააგენტოში უზრუნველყოფილია ცხოველთა მიკვლევადობა. გამარტივებულია დაავადების საწინააღმდეგო პრევენციული და იძულებითი ღონისძიებების ჩატარება. იდენტიფიცირებული ცხოველის რეალიზაცია გამარტივებულია და ეს, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშეწყობა ექსპორტისთვის.

- რას ურჩევდით ცხოველის მეპატრონეებს?

- პირველ რიგში, მინდა ვურჩიო ფერმერებს, ცხოველის მეპატრონეებს, ითანამშრომლონ ვეტერინარებთან. აუცილებლად მოახდინონ ცხოველების იდენტიფიცირება, იმისთვის, რომ მოხვდნენ სურსათის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ბაზაში და უფასოდ ისარგებლონ სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებებით. ასევე, მნიშვნელოვანია (განსაკუთრებით გაზაფხულზე), სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ვაქცინაციის დაწყებამდე ცხოველების დამუშავება ენდოპარაზიტების (შინაგანი) საწინააღმდეგოდ, რითაც ვაქცინაციის შედეგი უფრო ეფექტური ხდება.

გარდა სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული ვაქცინაციისა, გეოგრაფიული არეალის და რისკების გათვალისწინებთ, სასურველია, ჩატარდეს ღონისძიებები რეგიონისთვის დამახასიათებელ სხვა ემდემურ დაავადებებზე, რისთვისაც ცხოველის მეპატრონეებმა უნდა ითანამშრომლონ კერძო ვეტერინარებთან. ასეთი დაავადებებია: ემფიზემური კარბუნკული (მოსახლეობაში მას ემკარს ან ჭრიჭინას ეძახიან), ბრადზოტი, ინფექციური ანაერობული ენტეროტოქსემია (დარბილებული თირკმელი, ბალახის ავადმყოფობა), პასტერელოზი (ყაპო, ბოღმა) და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია ცხოველების შინაგანი და გარეგანი პარაზიტების საწინააღმდეგოდ დამუშავება.

შხამიანი სარეველა მცენარეები

შხამიანი სარეველა მცენარეები წარმოქმნიან ტოქსიკურ ნივთიერებებს (ფიტოტოქსინებს), რომელთა მცირე რაოდენობაც კი, ადამიანისა და ცხოველის მოწამვლას, ზოგჯერ სიკვდილსაც იწვევს.

ტოქსიკურ ნივთიერებებს მიეკუთვნება: ალკალოიდები, გლიკოზიდები, საპონინები, ეთერზეთები და სხვა. ისინი განაპირობებენ შხამიანი სარეველების არასასიამოვნო სუნსა და მწარე გემოს. მცენარეული ტოქსინები კონცენტრირდება როგორც მთლიანად მცენარეში, ასევე მის ცალკეულ ორგანოში. ფიტოტოქსინები ხასიათდება კუმულაციური თვისებებით. ისინი ნელ-ნელა, თანდათანობით გროვდება ცხოველთა ორგანიზმში, საბოლოოდ კი, პირუტყვის სიკვდილს იწვევს. საქონლის შხამიანი სარეველებით კვებისას, რძეს და მისგან წარმოებულ პროდუქტებს არასასიამოვნო სუნი და გემო აქვს. მაგალითისთვის: რძეს მწარე გემოს აძლევს გვირილა; მჟაუნათი კვების შედეგად, რძე ცუდად იდღვიბება; ისლით კვებისას კი, რძე წყალ-წყალა ხდება. ზოგიერთი სარეველა მცენარის ნაყოფის თვისებაა ჩაეხვიოს ცხოველის მატყლში, რაც მის სასაქონლო ღირებულებას ამცირებს. ვაციწვერას თესლები ცხვრის ჩლიქებში იჭედება და წარმოშობს ჭრილობას/ნაპრალებს, რაც იწვევს დაკოჭლებას და სახსრების ანთებას. ხშირად მეფუტკრეები შხამიანი მცენარეების (ბაია, შხამა და სხვა) ნექტარით ფუტკრის მასიური დაღუპვის მოწმენი არიან.

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი შხამიანი მცენარეების მოკლე დახასიათება

შავი ლენცოფა – Hyoscyamus niger L




ორწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა ძაღლ-ყურძენასებრთა ოჯახიდან, შეიცავს ალკალოიდებს; ფესვი მთავარღერძა, ვერტიკალური 2-3 სმ სისქის; ღერო სწორმდგომი, 20-115 სმ-მდე; ფოთლები მორიგეობით განლაგებული, მოგძო კვერცხისებური ან ელიფსური, ფრთისებრდანაკვთული; ყვავილები მჯდომარე, ჭუჭყიანი მოყვითალო, იშვიათად თეთრი, შუაში მეწამული - იასამნისფერი, ყვავილობს ივნის-ივლისში.

ლემა – Datura stramonium L




ერთწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა ძაღლ-ყურძენასებრთა ოჯახიდან; დიდი რაოდენობით შეიცავს ალკალოიდებს; ფესვი მთავარღერძა, დატოტვილი ძლიერი; ღერო 1,5 ამ სიმაღლის; ფოთლები მორიგეობით განლაგებული, კვერცხისებური, კიდედაკბილული, წვეროში წაწვეტებული, ზედა მხრიდან მუქი მწვანე, ქვედა მხრიდან მონაცრისფრო; ყვავილები ერთეული, კენწრული ან ფოთლის უბესთან განვითარებული, თეთრი, დიდი ზომის, არასასიამოვნო სუნით, ყვავილობს ივლის-აგვისტოში.

შხამა – Veratrum lobelianum Bernh.




მრავალწლიანი, ფესურიანი, ბალახოვანი, აბეზარი სარეველაა; მისი ყველა ნაწილი შხამიანია, შროშანისებრთა ოჯახის წარმომადგენელია; საქართველოში გვხვდება ყაზბეგის, ბორჯომ-ბაკურიანის, ბახმაროს, დუშეთის მიდამოებში, იშვიათად - ტყის სარტყელში. ფესურა მოკლე, სქელი; ღერო სქელი, მრავალფოთლიანი, 1-1,5 მ სიმაღლის; ფოთლები ელიფსური, მორიგეობით განლაგებული, ქვემოდან შებუსული; ყვავილედი პირამიდული საგველა, ყვავილი მოყვითალო ან მოთეთრო, ყვავილობს ივნის-აგვისტოში.

შმაგა – Atropa caucasica Kreyer.




მრავალწლიანი, შხამიანი, ბალახოვანი სარეველაა ძაღლყურძენასებრთა ოჯახიდან; მთლიანად შებუსულია, აქვს არასასიამოვნო სუნი, შეიცავს ალკალოიდებს; იზრდება ჩრდილიან და ტენიან ადგილებში. ფესვი მთავარღერძა, ივითარებს ფესურას; ღერო სწორმდგომი დატოტვილი, 60 სმ-დან 2 მ-მდე; ფოთლები ფართო, ოვალური, წყვილად განლაგებული; ყვავილები მუქი იასამნისფერი, ზოგჯერ ყვითელი, ერთეული, ყვავილობს ივნის-ივლისში, ნაყოფი შხამიანია, რადგან შეიცავს ალკალოიდ ატროპინს.

ლურჯი ტილჭირი – Aconitum napellus L




მრავალწლიანი, ბალახოვანი შხამიანი სარეველაა ბაიასებრთა ოჯახიდან; ღერო სწორმდგომი, 60-150 სმ სიმაღლის; ფოთლები მორიგეობით განლაგებული, ფრთისებრდანაკვთული; ყვავილედი მტევანი, ცისფერი, იასამნისფერი, ყვითელი ან თეთრი, ყვავილობს ივლისიდან -სექტემბრამდე.

საპონა – Saponaria officinalis L




მრავალწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველა მცენარეა მიხაკისებრთა ოჯახიდან, შეიცავს ალკალოიდებს; ფესურა ძლიერ დატოტვილი, მოწითალო-ყავისფერი; ღერო სწორმდგომი, შიშველი ან ოდნავ შებუსული, 30-100 სმ სიმაღლის; ფოთლები მოპირდაპირედ განლაგებული, მოგრძო ან ოვალური, ბოლოში წამახვილებული, შეუბუსავი, ზედა - მჯდომარე, ქვედა - მოკლე ყუნწით; ყვავილები თეთრი ან მოვარდისფრო-თეთრი, შეკრული მტევნად, 5 სმ დიამეტრის, სასიამოვნო სურნელით, ყვავილობს ივნისიდან სექტემბრის ბოლომდე.

ციკუტა – Cicuta virosa L




მრავალწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა ქოლგოსანთა ოჯახიდან, განსაკუთრებით შხამიანია ფესურა; ფესურა ვერტიკალური, ხორციანი, თეთრი, მრავალი წვრილი ფესვით; ღერო დატოტვილი, 1-1,2 მ სიმაღლის; ფოთლები რთული, ორმაგად ფრთისებრდანაკვთული, კიდედაკბილული; ყვავილები წვრილი, ყვითელი ან თეთრი, შეკრებილია ქოლგა ყვავილედად, 10-15 სხივიანი, ყვავილობს ივლის-აგვისტოში.

ოშოშა – Glechoma hederacea L




მრავალწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი სარეველაა, შეიცავს ალკალოიდებს, დამახასიათებელია სპეციფიკური სუნი; ფესურა მხოხავი, წვრილი, მოკლე ფესვებით; ღერო მხოხავი, ოთხწახნაგიანი, ოდნავ შებუსული, 20-50სმ სიმაღლის, მიწასთან შეხებისას ფესვიანდება; ფოთლები მომრგვალო თირკმლისებური, გრძელი ყუნწით, მოპირდაპირედ განლაგებული, გლუვი, ოდნავ შებუსული; ყვავილები მცირე ზომის, ორტუჩა, იასამნისფერი ამ მოცისფრო იასამნისფერი, რამდენიმე ერთად (3-4) შეკრული ფოთლის უბესთან, ყვავილობს ზაფხულის პირველ ნახევარში.

ჩვეულებრივი სელიჭა – Linaria vulgaris Mill




მრავალწლიანი, ბალახოვანი, შხამიანი მცენარეა მრავალძარღვასებრთა ოჯახიდან; ფესურა წვრილი, გრძელი; ღერო სწორმდგომი, მარტივი ან დატოტვილი, შეფოთლილი, 30-90 სმ სიმაღლის; ფოთლები ლანცეტისებური ან ხაზურა-ლანცეტისებური, ბოლოწაწვეტებული, შეუბუსავი, მჯდომარე; ყვავილები შეკრული მტევნად, ყვითელი, 5-15 სმ სიგრძის, ყვავილობს ზაფხულის განმავლობაში.

ხრიალა – Rhinanthus minor L




ერთწლიანი, შხამიანი, ბალახოვანი, ნახევრად პარაზიტი სარეველა მცენარეა კელაპტარასებრთა ოჯახიდან (სხვა მცენარეების ფესვებიდან იღებს საკვებ ნივთიერებებს); ღერო მარტივი ან დატოტვილი, 20-50 სმ სიმაღლის; ფოთლები მოპირდაპირედ განლაგებული, ლანცეტისებური ან მოგრძო ლანცეტისებური, ბოლოში შევიწროებული, კიდედაკბილული, შეუბუსავი; ყვავილები შეკრული მტევნად კენწეროში, ყვითელი, ყვავილობს ზაფხულის განამვლობაში.

თავთეთრა – Holcus lanatus L.




მრავალწლიანი, ბალახოვანი სარეველა მცენარეა მარცვლოვანთა ოჯახიდან; ფესვი ფუნჯა, ღერო სწორმდგომი, მარტივი, 30-60 სმ სიმაღლის; ფოთლები ხაზურა, მონაცრიფრო-მწვანე, ხავერდოვანი; ყვავილედი თავთავი (ყვავილობის დროს საგველა იშლება), მოწითალო ან მოთეთრო, კვერცხისებური, უფხო, ყვავილობს ზაფხულში.

DCFTA-ის მოთხოვნები სურსათის მწარმოებლებისთვის - გზამკვლევი



აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის კონსორციუმის მიერ USAID/საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენის პროექტის (REAP) ტექნიკური დახმარების პროგრამის ფარგლებში.

წარმოდგენილი გზამკვლევი განკუთვნილია სურსათის მწარმოებლებისთვის, რომელთაც სურთ საკუთარი პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტი, ამისთვის კი საკმაოდ მაღალი სტანდარტების დაკმაყოფილება მოუწევთ. გზამკვლევი მოიცავს იმ ძირითად ნაბიჯებს, რომლებიც მწარმოებელმა უნდა გაიაროს საკუთარი საქონლის ევროკავშირში შეტანისთვის და, ამავე დროს, ისარგებლოს ნულოვანი საბაჟო დაბეგვრით.

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ გაზეთის წინა ნომრებში)

წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1



საქართველოდან ევროკავშირში საქონლის ექსპორტისას თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული შეღავათებით სარგებლობისთვის, საჭირო იქნება საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატის - EUR.1- ის აღება. EUR.1 გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ. მას შემოსავლების სამსახურს წარუდგენს ექსპორტიორი ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი ექსპორტიორის პასუხისმგებლობით.

EUR.1 სერტიფიკატის აღება (ასევე თურქეთში ექსპორტირების შემთხვევაში) სავალდებულოა, თუ ექსპორტიორს სურს ისარგებლოს საბაჟო-სატარიფო შეღავათებით. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში წარმოებული საქონელი ვერ აკმაყოფილებს წარმოშობის კრიტერიუმებს და ბიზნესოპერატორს მისი ევროკავშირში ან თურქეთში შეღავათების გარეშე ექსპორტი სურს, მას შეუძლია აიღოს არაპრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი. ის, ასევე, გაიცემა სხვა ქვეყანაში წარმოშობილი პროდუქციის საქართველოდან ექსპორტის დროსაც (საქონლის წარმოშობის დამადასტურებელი სერტიფიკატის საფუძველზე).

ექსპორტიორი, რომელიც მოითხოვს EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატს, ნებისმიერ დროს, შემოსავლების სამსახურის მოთხოვნის თანახმად, მზად უნდა იყოს ყველა იმ აუცილებელი დოკუმენტის წარსადგენად, რომელიც დაადასტურებს მოცემული პროდუქციის წარმოშობის სტატუსს. შემოსავლების სამსახურს აქვს უფლება, მოითხოვოს შესაბამისი მტკიცება, შეამოწმოს ექსპორტიორის ანგარიშები და ჩაატაროს ნებისმიერი სხვა სახის ინსპექცია, რომელსაც იგი ჩათვლის საჭიროდ. მან უნდა შეამოწმოს, არის თუ არა პროდუქციის აღწერისათვის გამოყოფილი უჯრები შევსებული ისე, რომ გამორიცხული იყოს ყველანაირი ყალბი დამატების შეტანის შესაძლებლობა. EUR.1 გადაადგილების სერტიფიკატი გადაეცემა ექსპორტიორს ფაქტობრივი ექსპორტის განხორციელების დროისათვის.

EUR.1 სერტიფიკატის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში, ექსპორტიორს შეუძლია საბაჟო უწყებიდან მოითხოვოს დუბლიკატი, რომელიც გამოიწერება ექსპორტთან დაკავშირებული დოკუმენტების საფუძველზე წარწერით „Duplicate". წარმოშობის სერტიფიკატი ძალაში იქნება ექსპორტიორ ქვეყანაში მისი გაცემის დღიდან ოთხი თვის განმავლობაში და ამ ხნის განმავლობაში უნდა წარედგინოს იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას, იმ ქვეყანაში მოქმედი პროცედურების თანახმად. ზემოხსენებულმა საბაჟო უწყებამ შეიძლება მოითხოვოს წარმოშობის სერტიფიკატის თარგმანი და, ასევე, იმპორტის დეკლარაციასთან ერთად, იმპორტიორის ანგარიში იმის შესახებ, რომ პროდუქცია აკმაყოფილებს წინამდებარე შეთანხმების განხორციელებისთვის საჭირო პირობებს.

როცა, იმპორტიორის თხოვნის თანახმად და იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, დაშლილი ან აუწყობელი პროდუქციის იმპორტირება ხორციელდება პარტიებად, ამგვარი პროდუქციის წარმოშობის ერთადერთი სერტიფიკატი უნდა წარედგინოს საბაჟო უწყებას პირველი პარტიის იმპორტირებისას.

ექსპორტიორმა, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში უნდა შეინახოს შემოსავლების სამსახურისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია და წარმოშობის დეკლარაციის ასლი.მისი შემდგომი შემოწმება განხორციელდება არასისტემურად ან მაშინ, როცა იმპორტიორი ქვეყნის საბაჟო უწყებას გაუჩნდება გონივრული ეჭვი დოკუმენტების ნამდვილობის ან მოცემული პროდუქციის წარმოშობის სტატუსის მიმართ.

იმ ქართველი მეწარმეებისთვის, რომელთაც ევროკავშირის ბაზარზე საკუთარი ნაწარმის შეტანა საბაჟო გადასახადის გარეშე სურთ, EUR.1 - ის აღება უფასოა. საქართველოს ექსპორტიორებს საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის აღება შეუძლიათ საქართველოს შემოსავლების სამსახურის შემდეგ სერვისცენტრებში:


- საბაჟო დეპარტამენტი, თბილისი
- საბაჟო გამშვები პუნქტი „თბილისის აეროპორტი"
- საბაჟო გამშვები პუნქტი „ბათუმის პორტი"
- საქონლის გაფორმების სამმართველო: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფელი მარტყოფი, თბილისის შემოსავლელი გზის 36-ე კილომეტრი
- შემოსავლების სამსახურის რუსთავის განყოფილება
- შემოსავლების სამსახურის თელავის განყოფილება
- შემოსავლების სამსახურის ახალციხის განყოფილება
- შემოსავლების სამსახურის ქუთაისის განყოფილება
- გაფორმების ეკონომიკური ზონა „თბილისი"
- გაფორმების ეკონომიკური ზონა „აეროპორტი"
- გაფორმების ეკონომიკური ზონა „ბათუმი"
- გაფორმების ეკონომიკური ზონა „ფოთი"

EUR.1–ის გაცემისათვის აუცილებელი დოკუმენტებია:

1. განცხადება
2. დეკლარაცია საქონლის კუთვნილებისა და კრიტერიუმების შესახებ, საქართველოს მთავრობის N 420 დადგენილების N4 დანართის შესაბამისად
3. კონტრაქტი
4. ანგარიშფაქტურა
5. შესაბამისობის სერტიფიკატი ყურძნისეული წარმოშობის პროდუქტების ექსპორტის შემთხვევაში.

საბაჟო დეპარტამენტს უფლება აქვს, საჭიროებიდან გამომდინარე, მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია.

წარმოშობის სერტიფიკატი EUR.1 გაიცემა განცხადების რეგისტრაციიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში


ბაჟისგადახდისგან სრულიად ან ნაწილობრივ განთავისუფლების სერტიფიკატი

1. ექსპორტიორი (სახელი, სრული მისამართი, ქვეყანა) — ფორმა EUR.1 № A
2. ექსპორტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სერტიფიკატი
3. მიმღები (სახელი, სრული მისამართი, ქვეყანა) (არასავალდებულო)
4. ქვეყანა, ქვეყნების ჯგუფი ან ტერიტორია, რომელში წარმოშობილად ითვლება საქონელი
5. დანიშნულების ქვეყანა, ქვეყნების ჯგუფი ან ტერიტორია
6. ტრანსპორტირების დეტალები (არასავალდებულო)
7. შენიშვნები
8. რაოდენობა; ნომრები და ნომრების ჩაწერების რაოდენობა და ტიპი (1); საქონლის აღწერა
9. წონა (ბრუტო) (კგ) ან სხვა ზომები (ლიტრები, მ³, სხვა)
10. ინვოისები (არასავალდებულო)
11. საბაჟო დეპარტამენტის ვიზირება
12. ბიზნესოპერატორის ფორმალობა

(1) თუ საჭიროება შეფუთული არ არის, შესაბამისად მიუთითეთ რაოდენობა ან მიუთითეთ "შეფუთვის გარეშე".

უფასოდ.

დამატებითი ინფორმაცია მოიპოვება შემდეგ ვებგვერდზე:

http://www.rs.ge/5037

ინტელექტუალური საკუთრება

ბიზნესოპერატორებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ისეთ ასპექტს, როგორიცაა ინტელექტუალური საკუთრება. ეს უკანასკნელი ევროკავშირში ძალიან დაცულია და მომავალში საქართველოშიც იგეგმება საავტორო უფლებების კონტროლის გამკაცრება. საქართველო ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს პროცედურები და ქმედებები, რომლებიც აუცილებელია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებისთვის. ინტელექტუალური საკუთრების უფლებები, ასევე, მოიცავს გეოგრაფიულ აღნიშვნებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმების მიხედვით, ევროკავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქტების დაცვა განხორციელდება საქართველოშიც. ამიტომ, ბიზნესოპერატორმა ყურადღება უნდა მიაქციოს გეოგრაფიულ აღნიშვნებს, რომელთა გამოყენება აკრძალული იქნება საქართველოში წარმოებული პროდუქტისთვის. მაგალითად, ქართულ ძეხვს ვერ მიენიჭება სახელი „გროისნერ სალამი" (GreuSener Salami), ყველს - „ალგოიერ ემენტალერ" (Allgauer Emmentaler) ან ლუდს - „ბაიერიშეს ბიერ" (Bayerisches Bier) და ა.შ., ვინაიდან მათზე მოქმედებს გეოგრაფიული ადგილწარმოშობის წესები. აღნიშნული სია სრული სახით მოცემულია ასოცირების შესახებ შეთანხმების XVII – C დანართში.

საქართველო - ევროკავშირი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის პერსპექტივა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, ხალხთა შორის კონტაქტების გააქტიურების ძირითადი ინსტრუმენტი და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების ეფექტიანი საშუალებაა.



რას ნიშნავს უვიზო რეჟიმი?

უვიზო რეჟიმი გულისხმობს თავისუფალ გადაადგილებას შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას და შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანას, ესენია:


წევრი ქვეყნები: ავსტრია, ბელგია, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, მალტა, ნიდერლანდები, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, ჩეხეთი;

არაწევრი ქვეყნები: ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია;

კანდიდატი ქვეყნები: ბულგარეთი, კვიპროსი, რუმინეთი, ხორვატია.

რა დროის განმავლობაში შემიძლია ვიმყოფებოდე ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე?

უვიზო რეჟიმი შესაძლებლობას აძლევს ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართველოს მოქალაქეებს ვიზის გარეშე იმოგზაურონ 90 დღე ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში. ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში 90 დღის პერიოდით ყოფნის შემდეგ საქართველოს მოქალაქემ უნდა დატოვოს ამ ქვეყნის ტერიტორია.



ევროკავშირის/შენგენის სივრცეში მომდევნო შესვლა შესაძლებელია მომდევნო 90 დღის (ჯამში 180 დღე) პერიოდის გასვლის შემდეგ. მოკლევადიანი ვიზიტი შესაძლებელია სხვადასხვა მიზნით: ტურისტული, ოჯახის წევრების/ახლობლების მონახულება, ბიზნესშეხვედრები, მოკლევადიანი სასწავლო და გაცვლითი პროგრამები/ტრენინგი, კურსები, კულტურულ ან სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, მკურნალობა და სხვა. ნებისმიერი ასეთი ვიზიტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს. უვიზო რეჟიმი არ შეეხება შენგენის ზონაში გრძელვადიან ვიზიტებს განათლების მიღების, მუშაობის ან სხვა მიზნით. ხანგრძლივი პერიოდით დარჩენის სურვილის შემთხვევაში, საქართველოს მოქალაქეებმა ვიზის მისაღებად საქართველოში აკრედიტებულ შესაბამისი ქვეყნის საკონსულოს უნდა მიმართონ.

საქართველოს მოქალაქეები ვალდებულნი არიან დაიცვან:

- შენგენის ქვეყნების ტერიტორიაზე არსებული შესვლისა და ყოფნის წესები (შენგენის ტერიტორიაზე ყოფნის პერიოდი არ უნდა აღემატებოდეს 90 დღეს ნებისმიერი 180 დღიანი პერიოდის განმავლობაში);
- ადგილობრივი კანონმდებლობა, საავტომობილო მოძრაობის წესები და საზოგადოებრივი წესრიგი;

ნებადართული ყოფნის პერიოდში სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში საქართველოს მოქალაქე დაექვემდებარება დეპორტაციას (გაძევება) ან/და დაეკისრება შესაბამისი პასუხისმგებლობა ადგილსამყოფელი ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რასაც ყოველთვის მოსდევს ქვეყანაში შესვლის აკრძალვა 5 წლამდე პერიოდით.

რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ დავარღვევ ევროკავშირის/შენგენის ტერიტორიაზე შესვლისა და ყოფნის წესებს?

ქვეყანაში 90 დღიანი ყოფნის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შენგენის ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად და ასეთი პირი დაექვემდებარება რეადმისიას (საქართველოში დაბრუნებას). ამასთან, ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს შეეზღუდება შენგენის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე პერიოდით. ალტერნატივის სახით, შესაძლოა გამოყენებული იქნას ადმინისტრაციული ზომები/ჯარიმა 3000 ევრომდე ოდენობით. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, კანონდამრღვევს აეკრძალება შესვლა შესაბამის ქვეყანაში, ან შენგენის ტერიტორიაზე;

შენგენის/ევროკავშირის ტერიტორიაზე შესასვლელად საქართველოს მოქალაქე

- არ უნდა იყოს იმ პირთა სიაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზოგადოებრივ წესრიგსა და ჯანმრთელობას, ან შიდა უსაფრთხოებას;
- არ უნდა იყოს იმ პირთა სიაში, რომლებსაც აკრძალული აქვთ ზემოხსენებული ქვეყნებიდან მინიმუმ ერთ ქვეყანაში შესვლა;
- არ უნდა იყოს ნასამართლევი შენგენის/ევროკავშირის წევრ ნებისმიერ ქვეყანაში სისხლის სამართლის ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მინიმუმ 1 წლით;
- არ უნდა იყოს ქვეყნიდან გაძევების (დეპორტაცია) ან უკან დაბრუნების (რეადმისია) შესახებ გადაწყვეტილების ობიექტი;
- არ უნდა არსებობდეს დანაშაულებრივ საქმიანობაში მისი მონაწილეობის, ან ასეთი განზრახვის შესახებ უტყუარი მტკიცებულებები.

რა შეიცვლება ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდეგ:

აუცილებელი საბუთები ევროკავშირში სამოგზაურო ვიზის ასაღებად:

- ცნობა სამსახურიდან ხელფასის შესახებ;
- ამონაწერი ბანკიდან (ბოლო 6 თვის);
- შესაბამისი ოდენობის თანხის განთავსება საბანკო ანგარიშზე;
- ბიომეტრიული ფოტოსურათი;
- სამოგზაურო დაზღვევა;
- სამოგზაურო დაზღვევისა და პასპორტის ასლები;
- სპეციალური სააპლიკაციო ფორმა;
- სასტუმროს ჯავშანი;
- თვითმფრინავის ბილეთის ჯავშანი;
- გამგზავრებამდე რამდენიმე კვირით ადრე საკონსულოში/სერვისცენტრში ვიზიტის ჩანიშვნა;
- აღნიშნული საბუთების ჩაბარება და სავიზო მოსაკრებლის (35-დან 150 ევრომდე) გადახდა;
- ვიზაზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გასაგებად 7-21 დღის ვადა;
- საელჩოში/საკონსულოში ვიზიტი პასპორტის წამოსაღებად და ადგილზე გარკვევა მიიღეთ თუ არა ვიზა.
- ვიზის აღების შემთხვევაში თვითმფრინავის ბილეთის შეძენა.

უვიზო მიმოსვლის პირობებში მოგზაურობისთვის აუცილებელია მხოლოდ:

- სასტუმროს ჯავშანი;
- უკან დასაბრუნებელი ბილეთი;
- სამოგზაურო დაზღვევა;
- მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი. (ნაღდი ფული, სამგზავრო ჩეკი, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათები და ა.შ.) ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული თანხა არ აღემატება დღეში 50 ევროს სასტუმროს ჯავშნის არსებობისას.



რჩევა ფერმერისთვის - ჟოლოს აგროტექნოლოგია



ჟოლო (Rubus idaeus) კენკროვანი კულტურაა. მისი ნაყოფი მეტად არომატული და ვიტამინებით, ორგანული მჟავებით და ნახშირწყლებით მდიდარია. ჟოლოს კენკრა შესანიშნავი სამკურნალო თვისებებით ხასიათდება.

ჟოლოს ნაყოფებში მშრალი ნივთიერებების შემცველობა 12.8–18.8 % - ის ფარგლებში მერყეობს. შაქრების შემცველობა 9-10% - ს, პექტინები – 0.6 - 0.9 % - ს, ცილები -0,7- 0.8 % - ს და უჯრედანა – 4.8 - 5.1 % -ს აღწევს. მისი კენკრა მდიდარია სხვადასხვა სახის ვიტამინებით. ჟოლოში დიდი რაოდენობით არის მინერალური ნივთიერებებიც - შეიცავს 1000-1200 მგ/კგ რკინას, რაც 2-3 ჯერ მეტია ვიდრე შავ მოცხარში. ჰემატოგენური მიკროელემენტების სიჭარბის გამო, ჟოლო გამოიყენება სისხლნაკლულობის დროს. ჟოლოს ნაყოფი სასარგებლოა ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონული დაავადებების პროფილაქტიკის და მკურნალობისთვის.

ჟოლოს ნაყოფი მდიდარია აქროლადი ნივთიერებებით, რომლებიც ხასიათდება ასეპტიკური თვისებებით. მაგალითად, იგი მნიშვნელოვანი რაოდენობით შეიცავს სალიცილის მჟავას. ჟოლო შესანიშნავი თაფლოვანი




მცენარეა. ჟოლოს 1 ჰა ფართობის ნაკვეთიდან შესაძლებელია 80-100 კგ-მდე მაღალი ხარისხის თაფლის მიღება.

სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით, ჟოლო მაღალშემოსავლიანი კულტურაა, რადგან მასზე ფასი სტაბილურად მაღალია (საბითუმო ფასი 3.0-4.0 ლარი/კგ) და კარგი საბაზრო მოთხოვნით ხასიათდება. მოსავლის მიღება იწყება დარგვიდან მეორე წელს. ჟოლო სრულ მსხმოიარობაში შედის მეოთხე-მეხუთე წელს და სწრაფად ანაზღაურებს გაშენების დროს გაწეულ ხარჯებს. წმინდა შემოსავალი 1 ჰა-ზე გაანგარიშებით, საშუალო მოსავლიანობის (8 ტ/ჰა) პირობებში, 15 000-18 000 ლარს შეადგენს. პლანტაციის საექსპლოატაციო ხანგრძლივობა 12-18 წელია.

ჟოლო მრავალწლოვანი ნახევრადბუჩქოვანი მცენარეა, რომლის მიწისქვეშა ნაწილი შედგება ფესვურის და დამატებითი გვერდითი ფესვებისაგან. ზაფხულის პერიოდში მიწისქვეშა კვირტებიდან ვითარდება ტოტები, რომლებიც ზაფხულის დასასრულისთვის ამთავრებენ ზრდას, ივითარებენ საკუთარ ფესვებს, კავშირს წყვეტენ დედა მცენარესთან და დამოუკიდებელ ერთწლიან მცენარეებად გადაიქცევიან.

ჟოლოს მცენარე განვითარების ორწლიანი ციკლით ხასიათდება: პირველ წელს ახლად აღმოცენებული ტოტები (ერთწლიანი ყლორტი) ან არ იძლევა ნაყოფს, ან იძლევა მცირე რაოდენობით. იგი სამრეწველო რაოდენობით ნაყოფს მხოლოდ მეორე წელს იძლევა. ნაყოფის დამწიფებისა და მოკრეფის შემდეგ ორწლიანი ტოტი ხმება. ამავე წელს ვითარდება ახალი ერთწლიანი ტოტები, რომელიც იმავე ციკლს იმეორებს. თუმცა, არსებობენ ჯიშები, რომლებიც მსხმოიარობენ მიმდინარე ერთწლიან ტოტებზე და მოსავალს იძლევიან შემოდგომით. მსხმოიარობის ტიპის მიხედვით ჯიშები იყოფა ორ ჯგუფად: ზაფხულში მსხმოიარე (ტულეიმინი, კენბი, ნოვა, ენკორი და სხვა) და შემოდგომის მსხმოიარე (ჰერიტეჯი, ოტომნ ბლისი, პოლანა, ოტომნ ბრიტენი, კაროლინა).



ზაფხულში მსხმოიარე ჟოლო მოსავალს იძლევა ივნისის ბოლოდან აგვისტოს დასაწყისამდე.

შემოდგომის მსხმოიარე ჯიშები იკრიფება აგვისტო-ოქტომბერში.

ნაკვეთის შერჩევა

ჟოლო მოითხოვს კარგად განათებულ მზიან ადგილს. იგი ცუდად იტანს ჭარბ ტენიანობას. არასასურველი დრენაჟის პირობებში სასურველია შემაღლებული კვლების გაკეთება. ადგილის შერჩევისას უპირატესობა ენიჭება წყალგამტარ, ორგანული ნივთიერებებით მდიდარ ნიადაგებს. საქართველოს პირობებში ჟოლოს პლანტაციის გასაშენებლად უკეთესია ჩრდილოეთის, ჩრდილო-აღმოსავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის დაქანებების გამოყენება. პლანტაციის გაშენებამდე აუცილებელია ნიადაგის ანალიზის ჩატარება, რათა ზუსტად განისაზღვროს ნიადაგის დასაბალანსებლად აუცილებელი საკვები ელემენტების ოპტიმალური რაოდენობა.

ჟოლო ნაკლებად მგრძნობიარეა ნიადაგის pH-ის მიმართ, მაგრამ უფრო კარგად ვითარდება 6.0 - 6.5 pH-ის ფარგლებში (ოდნავ მჟავე). კარბონატების მაღალ შემცველ ნიადაგებზე, სადაც pH > 8, შეიძლება განვითარდეს ქლოროზული მოვლენები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჟოლოს დარგვა ნაკლებად სასურველია ისეთ ადგილებში, სადაც წინა წელს პომიდვრის, კარტოფილის ან წიწაკის წარმოება ხორციელდებოდა, რადგან შესაძლოა, ახალგაზრდა მცენარეზე დაავადებების გავრცელება მოხდეს.

პლანტაციის გაშენებისთვის ნაკვეთი კარგად უნდა მომზადდეს: ნიადაგი უნდა იყოს კარგად დამუშავებული – მოხნული და დაფარცხული. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ნაკვეთის სარეველებისაგან გასუფთავებას, რადგან გაშენების შემდეგ სარეველების სიჭარბე დიდ სირთულეებს ქმნის და მკვეთრად აქვეითებს მოსავლიანობას.

ბაღის გაშენება

ჟოლო უნდა გაშენდეს გვიან შემოდგომაზე, სავეგეტაციო პერიოდის დამთავრებიდან ყინვების დაწყებამდე ან ადრე გაზაფხულზე მარტში ან აპრილის დასაწყისში. გაშენების ოპტიმალური სქემაა 2.5 - 3.0 მ. X 0.5 - 0.6 მ. ნერგის დარგვისას კეთდება 30-40 სმ სიღრმის და 50-60 სმ სიგანის კვალი (ტრანშეა), სადაც ხდება ნერგის დარგვა. არ შეიძლება დარგვის პროცესში ფესვების გამოშრობა. დარგვამდე ნერგები სველი ტილოს (სატომრე ქსოვილი) ქსოვილით იფარება, რათა დაცული იყოს მზისა და ქარის ზეგავლენისგან.

ნერგი ირგვება ისე, რომ ფესვის ყელი 2-3 სმ-ით დაბლა აღმოჩნდეს ნიადაგის ზედაპირიდან. ნერგის გარშემო ნიადაგი უნდა დაიტკეპნოს და მოირწყოს. ნერგი გადაიჭრება ნიადაგის ზედაპირიდან 10-12 სმ-ზე. ამ დროს ძალიან ეფექტურია მულჩის 6-8 სმ ფენის გამოყენება. მულჩად გამოიყენება ტორფი, გადამწვარი ნაკელი, კომპოსტი, ნამჯა ან ნახერხი. დარგვის პერიოდში არ არის რეკომენდირებული სასუქების გამოყენება. მიმდინარე წელს აზოტიანი სასუქი ივნისის შუა რიცხვებში შეაქვთ, ხოლო კომპლექსური სასუქების შეტანა შემდეგი წლის გაზაფხულზე უნდა მოხდეს.

დარგვიდან პირველ წელს მნიშვნელოვანია მცენარის ფესვის გაძლიერება. ამიტომ, დარგვის წელს მცენარეს ყვავილობის და ნაყოფის მოსხმის საშუალება არ უნდა მიეცეს. იმავე წელს ბაღში 3-4 ჯერ ტარდება ნიადაგის გაფხვიერება და სარეველების გამარგვლა-განადგურება.

ჟოლოს მოვლის აგროტექნიკა

ჟოლოს პლანტაციაში აგროტექნიკური ღონისძიებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა, მორწყვა და მცენარეთა დაცვა.

აუცილებელია, რომ მცენარე შეძლებისდაგვარად დაცული იყოს სარეველა მცენარეებისგან. ამისთვის გამოიყენება როგორც მექანიკური (მულჩირება, გამარგვლა, გათხვნა, გაფხვიერება), ასევე ქიმიური მეთოდები (ჰერბიციდების გამოყენება). რეკომენდებულია რიგთაშორისების ორ-სამჯერ როტაციული კულტივატორით დამუშავება. იმ შემთხვევაში, თუ ჟოლოს პლანტაცია 1 ჰა-ს აღემატება, აუცილებელია ჰერბიციდების გამოყენება.

ჟოლოს პლანტაციებში საზღვარგარეთ რეკომენდებულია „კაზარონის” (დიკლობენილი) შეტანა ვეგეტაციის დაწყებამდე, ადრე გაზაფხულზე, 2-3 კგ/ჰა დოზით, ხოლო აღმოცენების შემდეგ, ივნისის დასაწყისში - “გოალის”

(ოქსიფლუორფენი) 0.2-0.5 ლ/ჰა გამოყენება.

ჟოლოს პლანტაციაში აუცილებელია დაცული იყოს დროული და სათანადო მორწყვის რეჟიმი. კარგი ირიგაცია 2-3 ჯერ ზრდის პლანტაციის პროდუქტიულობას. ჟოლოს ზედაპირული ფესვთა სისტემა აქვს და მისთვის მეტად სასარგებლოა ხშირი ზედაპირული მორწყვა. ამიტომ, წვეთოვანი მორწყვის სისტემებს დიდი უპირატესობა გააჩნია ჩვეულებრივ მორწყვის მეთოდებთან შედარებით. აღმოსავლეთ საქართველოს პირობებისთვის რეკომენდებულია მოღვარვით მორწყვა შემდეგი ვადებით: პირველი მორწყვა – ყვავილობის წინ, მეორე მორწყვა – გამონასკვის პერიოდში, მესამე და მეოთხე – სიმწიფის პერიოდში, მეხუთე – მოსავლის აღების შემდეგ.

ნიადაგის განოყიერების სისტემა შემდეგია: ადრე გაზაფხულზე რიგებში შეაქვთ კომპლექსური სასუქები, (P2O5-80; K-80). აზოტოვანი სასუქების შეტანა კი, ნაწილ-ნაწილ უნდა განხორციელდეს: პირველი შეტანა ხდება ადრე გაზაფხულზე (აპრილი), როდესაც მცენარე ჯერ კიდევ მოსვენების მდგომარეობაშია. ამ ეტაპზე ნიადაგში შედის წლიური ნორმის ორი მესამედი. დარჩენილი ნაწილი შეტანილი უნდა იყოს ივნისის დასაწყისისთვის. თავი უნდა ავარიდოთ სასუქების შეტანას გვიან ზაფხულში, ან შემოდგომაზე, ვინაიდან ამან შეიძლება გამოიწვიოს ზამთარგამძლეობის შემცირება.

ძალიან მნიშვნელოვანია ჟოლოს პლანტაციის დაცვა მავნებელ-დაავადებებისგან. სეზონის განმავლობაში მავნებელ-დაავადებებისაგან დაცვის მიზნით აუცილებელია პლანტაციის 4-5 ჯერ დამუშავება. ჟოლოს განსაკუთრებით აზიანებს შემდეგი მავნებლები: ჟოლოს ხოჭო, კვირტის ჩრჩილი და ჟოლოს ღეროს ბუზი. ასევე მეტად საშიშია შემდეგი დაავადებები: ანთრაქნოზი, ბოტრიცისი და ნაცარი.


გასხვლა

ჟოლო მოსავალს ძირითადად იძლევა გასული წლის ტოტებზე, რომლებიც მოსავლის მოცემის შემდეგ ხმება. იმავე წელს ფესვის კვირტებიდან ამოდის ახალი ერთწლიანი ტოტები. ამ ბიოლოგიური თავისებურების გათვალისწინებაზე არის აგებული სხვლის სტრატეგია. გასხვლა ტარდება გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე. ამ დროს ხდება ყველა ძველი ტოტის ამოჭრა და ახალი ნაზარდების გამოხშირვა. აუცილებელია, რომ რიგის სიგანე არ აღემატებოდეს 40 სმ-ს, რადგან ფართო რიგებში მატულობს დაავადებების გავრცელების ალბათობა. პლანტაციის ყოველ 1 მეტრზე უნდა დარჩეს არაუმეტეს 16 – 20 ძლიერი ერთწლიანი ტოტი. დარჩენილ ტოტებს ამოკლებენ ერთ მეოთხედით. ასეთი ტიპის გასხვლა გამოყენებულია ზაფხულში მსხმოიარე ჯიშებზე, რაც შეეხება შემოდგომის მსხმოიარე ჯიშებს, მათი გასხვლა უფრო მარტივია: ყოველ შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე ხდება პლანტაციის მთლიანი გადაჭრა ძირამდე 3-4 სმ დატოვებით.

საყრდენი სისტემის მოწყობა

ცნობილია, რომ ჟოლოს ტოტები საკმაოდ სუსტია და ადვილად იზნიქება ნაყოფების სიმძიმით, ამიტომ ჟოლოს პლანტაციის გაშენებისას აუცილებელია საყრდენი სისტემის მოწყობა, ყველაზე უფრო გავრცელებულია მარტივი ტიპის შპალერული საყრდენი სისტემა და ან T-სებრი საყრდენი სისტემა. საყრდენ სისტემაზე მცენარეების დამაგრება ხდება კანაფის ან პოლიეთილენის ბაწარის მეშვეობით.

მარტივი ტიპის შპალერი შედგება ხის ბოძებისაგან და 0.9 - 1.0 მეტრ სიმაღლეზე გაბმული ერთი მავთულისაგან. ბოძებს შორის მანძილი 10 - 12 მეტრია, ბოძის დიამეტრი 70-80 მმ, ბოძების სიმაღლე – 1.30 -1.50 მეტრი. მავთული გაბმულია ორივე მხრიდან.



მარტივი ტიპის შპალერი

T-სებრი ტიპის შპალერი



T-სებრი ტიპის შპალერი შედგება ხის ან ლითონის ბოძებისაგან, რომლებზეც T-სებურად, 1 მეტრ სიმაღლეზე ჰორიზონტალურად დამაგრებულია 40-60 სმ სიდიდის ძელი ან ფიცარი. ბოძებს შორის მანძილი 10-12 მეტრია, ბოძების სიმაღლე – 1.30 - 1.50 მ.

კრეფა

კენკრა მოსაკრეფად მზად არის, როდესაც მას აქვს დამახასიათებელი ღია ალისფერი შეფერილობა და ადვილად სცილდება მცენარეს. კენკრა მეტად სათუთია, ამიტომ აუცილებელია მისი ფაქიზად და ფრთხილად კრეფა. ჟოლოს ნაყოფი ვერ უძლებს დახარისხებას, ამიტომ მოსავალი იმ ტარაში იკრიფება, რომლითაც მისი გადაგზავნა ხდება. კრეფისას რეკომენდირებულია ორი საკრეფი კონტეინერის გამოყენება, ერთში იდება მსხვილი, მეორეში საშუალო და წვრილი ნაყოფები. ჟოლოს ნაყოფები არათანაბრად მწიფდება, ამიტომ მისი კრეფა უნდა განმეორდეს ყოველ მეორე - მესამე დღეს, სიმწიფის პერიოდი განსხვავებულია ჯიშების მიხედვით და გრძელდება ორი-სამი კვირის განმავლობაში.

მოსავლიანობა

ჟოლოს მოსავლიანობა დამოკიდებულია ნიადაგობრივ პირობებზე, მოვლის აგროტექნიკურ ფონზე და ჯიშურ თავისებურებებზე. შესაბამისი მოვლის პირობებში შესაძლებელია 1 ჰა-ზე 8-10 ტონა მოსავლის აღება. მსოფლიოს მეხილეობის წამყვან ქვეყნებში (აშშ, იტალია) ინტენსიური მოვლის პირობებში 1 ჰა-ზე 12-18 ტონა მოსავალსაც იღებენ.

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ახლადინტროდუცირებული პერსპექტიული ჯიშების ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების დახასიათება.



ტულეიმინი

მცენარე: ზაფხულში მსხმოიარე, ფართოდაა გავრცელებული მთელს მსოფლიოში, ერთ-ერთი საუკეთესო ჯიშია

ნაყოფი: წითელი ფერისაა, საშუალო - საგვიანო სიმწიფის პერიოდისაა, შიდა ქართლის პირობებში იწყებს დამწიფებას ივლისის დასაწყისში და გრძელდება ივლისის შუა რიცხვებამდე, ნაყოფი – მსხვილია, საშუალო მასა 3.5-4.1 გრამი, კონუსური მოყვანილობის, მკვრივი, ალისფერი წითელი. ხასიათდება საუცხოო გემოთი.

ჰერიტეჯი

მცენარე: შემოდგომაზე მსხმოიარე, ძალიან ძლიერი ზრდის, ვერტიკალური ტოტებით, დაავადებების მიმართ შედარებით გამძლე, უხვმოსავლიანი.

ნაყოფი: ღია წითელი, დიდი ზომის, მკვრივი, კარგი არომატით, განკუთვნილია ნედლად მოხმარების მიზნით. საკრეფი სიმწიფე იწყება აგვისტოს მეორე ნახევარში და გრძელდება ოქტომბრის მეორე დეკადამდე.

კაროლინა

მცენარე: შემოდგომაზე მსხმოიარე, ახალი ჯიშია, გამოსადეგია ასევე სათბურებში წარმოებისათვის.

ნაყოფი: მუქი წითელი ფერისაა, კონუსური მოყვანილობის, მკვრივი, მუქი წითელი, გამოირჩევა კარგი საგემოვნო თვისებებით. ნაყოფი – დიდია, საშუალო მასა 3.5 - 4.5 გრამი. რემონტატული ჯიშია, შიდა ქართლის პირობებში იწყებს დამწიფებას ივლისის ბოლოს და გრძელდება ოქტომბრის შუა რიცხვებამდე.



საქართველო, ტბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. N6, ელ-ფოსტა: infocca@moa.gov.ge ცხელი ხაზი (+995 32) 247 01 01; 1501

კარტოფილის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები





საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები შესაძლებლობას იძლევა ვაწარმოოთ, როგორც სასურსათო (საადრეო და საგვიანო), ასევე სათესლე და ეკოლოგიურად სუფთა (მაღალმთიან ზონაში) კარტოფილი.


კარტოფილი გარემო პირობებთან კარგი შემგუებლობით გამოირჩევა. გაღივებისათვის საკმარისია 5-6^{0}C, ხოლო ოპტიმალური 13-15^{0}C ტემპერატურა, რაც საქართველოს დაბალ ზონაში (ქვემო ქართლის რეგიონი), სადაც ტემპერატურის დაწევა ადრეულ პერიოდში ხდება, საადრეო და საშუალო ჯიშის კარტოფილის წარმოების საუკეთესო პირობებს ქმნის.

კარტოფილის ძირითადი მწარმოებელი რეგიონებია სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და აჭარა. ადგილობრივ ბაზრებს ქვემო ქართლის რეგიონიდან, ძირითადად, მაისის შუა რიცხვებიდან მიეწოდებათ ადგილობრივი საადრეო კარტოფილი, ხოლო დანარჩენი ბაზარზე სექტემბრის დასაწყისიდან თებერვალი-მარტის პერიოდამდე არის ხელმისაწვდომი. ქართული კარტოფილის გემური თვისებები მეზობელი ქვეყნების მხრიდან მასზე მოთხოვნის ზრდაში არსებით როლს თამაშობს.


საინვესტიციო შესაძლებლობები

- მაღალკონდიციური თესლის მიწოდება
- წარმოების საშუალებების მიწოდება (სარწყავი სისტემები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები, და სხვა)
- ღია გრუნტში წარმოება
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების მიწოდება
- პროდუქციის შენახვისთვის მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით
- სატვირთო გადაზიდვების მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით

წარმოება წლების მიხედვით (ტონა)



წარმოება რეგიონების მიხედვით (2015 წელი)



დარგვის და მოსავლის აღების პერიოდები


თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
თესვა												
მოსავლის აღება												

საქართველოში მოსავლიანობის პროცენტული წილი სხვა ქვეყნების მოსავლიანობასთან მიმართებაში


სომხეთი	აზერბაიჯანი	თურქეთი	ევროკავშირი
53%	75%	36%	38%

წყარო: FAOSTAT


ექსპორტი წლების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)




იმპორტი თვეების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)




ექსპორტ-იმპორტი წლების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



ძირითადი სავაჭრო პარტნიორები



საცალო საბაზრო ფასები (ლარი/კგ) თვეების მიხედვით (2016 წელი)



წლიური მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე (3 წლის საშუალო)

ერთ სულ მოსახლეზე კარტოფილის წლიური მოხმარება შეადგენს 52 კგ-ს

ფინანსური მაჩვენებლები	
ფართობი	1 ჰა
საწყისი საინვესტიციო კაპიტალი (მიწის ფასი)	5 000 ლარი
უკუგების პერიოდი	მე-3 წელი
IRR (8 წელი)	40 %